# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი-სამშაბათი, 4-5 იანვარი. 2021 წ. №1-2 (9120-9121) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფლიდობით და ქოთქოთით ბუნტის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ერის სულიერ მამას ერი ულოცავს დაბადების დღეს და უსურვებს, რომ მოსწრებოდეს სიყვარულით გამთლიანებულ და გაბრწყინებულ საქართველოს!

# ილია II – 88



## კაცი, მადლით განღმრთობილი

ღმერთი სიყვარულია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი სიყვარულის დარღვევა არაფერს შეუძლია. ამიტომ ღმერთი მუდმივად შეეწევა დაცემულ ადამიანს თავისი დანიშნულების აღსრულებაში და მას, უპირველეს ყოვლისა, ეშმაკისა და ცოდვის მონობისგან ათავისუფლებს. შეეწევა რა ამ საქმეში მოწყალებით, ღმერთი არ ართმევს ადამიანს თავისი სიყვარულის წინანდელ ნიჭს და, მათ შორის, არც ერთხელ და სამუდამოდ ბოძებულ თავისუფლებას. ადამიანი თავისი ნებით დაეცა და ასევე თავისი ნებით უნდა აღდგეს.

ეს რომ შესაძლებელი გამხდარიყო და, რაღა თქმა უნდა, აუცილებლად ღვთის შემწეობით, ღმერთმა ისურვა თვითონ მიახლოებოდა თავისგან განდგომილ ადამიანს, რათა მას ისე, რომ არ შეშინებოდა, კვლავ თავისუფლად გაეკეთებინა არჩევანი და ღმერთთან დაბრუნებულიყო. ძე ღვთისა იქცა ძედ კაცისა იმისათვის, რათა ძენი კაცთანი ძეებად ღვთისად ექცია. ღმერთი განკაცდა, რათა კაცი მადლით განღმრთობილიყო. უკვდავმა მოკვდავის სახე მიიღო, რათა უკვდავება მიენიჭებინა.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი

## ჩვენ ერთმანეთს არ უნდა დავუმძიმოთ ჯვარი!

„ჩვენ ვთხოვთ უფალს მშვიდობას, სიხარულს, ეს ცხოვრება ცვალებადია. ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საახალწლო მიმართვაში ბრძანა. როგორც პატრიარქი საახალწლო მილოცვაში აცხადებს, ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და „არ უნდა დავუმძიმოთ ჯვარი“.

„ყველას მოგესალმებით, სრულიად საქართველოს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს და ყოველ ადამიანს. ახალი წლის წინაშე ვდგავართ. დღეს ჩვენ ვიხსენებთ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს — „მაუწყე მე უფალო გზაი რომელსაცა ვიდოდე. ითხოვდეთ და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდეთ და და განგეღოს თქვენ“, ჩვენ ვთხოვთ უფალს მშვიდობას, სიხარულს, ეს ცხოვრება ცვალებადია. ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს. ღმერთს უყვარს ადამიანი. ადამიანის მოქმედება უნდა იყოს სათნო, კეთილი. ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, კი არ უნდა დავუმძიმოთ ჯვარი. გილოცავთ ახალ წელს და ქრისტეს შობის დღესასწაულს. იმედი არ უნდა დავკარგოთ, ჩვენთან არს ღმერთი. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამაზეციერმა“, — ბრძანა პატრიარქმა.




## კარლ ჰარცელის ქართული სიმღერა

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში მეუღლესთან, მეტე ჰარცელთან და მუსიკოს ზაზა ხუციშვილთან ერთად იაკობ ბობოხიძის სიმღერა „ფიფქები“ შეასრულა. ასე კარლ ჰარცელმა ქვეყნის მოსახლეობას დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

## 2020 წლის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები

4

## რა შემთხვევაში არ გაუშვებენ საქართველოს მოქალაქეს 2021 წლის 1 იანვრიდან შენგენის ზონაში?!

11

# ვინ გაგვიყიდა დავით-გარეჯი?



„მითხარით, რატომ იმაზე მაინც არ იღებთ ხმას, როდესაც ივერი მელაშვილმა და ექსპერტთა ჯგუფმა თუშეთში, დიკლოს მთა და მისი მიდამოები, 42 კვ.კმ გამიჯნულ და უდავო სივრცეში რუსეთს გადასცა?“, – კიდევ ერთ პრობლემურ თემას ეხება დავითგარეჯის მამათა მონასტრის არქიმანდრიტი კირიონ ონიანი. მისი განცხადებით, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, რუკა, რომელიც საქართველოს სასარგებლოდ 6.500 ჰა ტერიტორიას გვაკუთვნებდა, დაიწუნეს და ამის ოქმი არ შედგა?! ეს ხომ ტყუილია და ადასტურებს, რომ ეს საქმე მოღალატეობრივად ყარს!

გთავაზობთ ინტერვიუს არქიმანდრიტ კირიონ ონიანთან.



– „გარეჯს გვართმევენ“?! – ეს განცხადება 2012 წლის 14 ოქტომბერს გააკეთეთ, როდესაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უდაბნოს თხემი დაიკავეს. მამა კირიონ, დღესაც იგივე შეფასებას მისცემდით იმ მოვლენებს?

არქიმანდრიტი კირიონ ონიანი: – დიახ! ეს არ იყო ემოციური განცხადება, არამედ 5-წლიანი დაკვირვების და ანალიზის შედეგად ნათქვამი სიტყვები იყო. ისე, ამ შინაარსის განცხადება, პირველად, იმავე წლის 12 მაისს გავაკეთე ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში. 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უდაბნოს მონასტერი დაიკავეს და მომლოცველებს და ტურისტებს მონასტერში მისასვლელი ბილიკები გადაუკეტეს. ექვსი დღე მივმართავდით შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებს და პასუხი რიგ შემთხვევებში სტანდარტული იყო – აუცილებლად გავარკვევთ, ხოლო ზოგი უწყებისგან უტყვი დუმილი იყო.

საუბრის დაწყებისას 5 წელი გაიხსენეთ. ეს იმ 5 წელზეა საუბარი, როდესაც 2007 წელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ჩიჩხიტურის მონასტერი დაიკავეს და ჩვენი მხრიდან ასვლაზე სრული აკრძალვა დააწესეს. ეკლესიის რეაქციაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმის მტკიცება დაგვიწყეს, რომ ეს გაუგებრობის შედეგი იყო. აზერბაიჯანის მხარეს სასაზღვრო სექტორის უფროსი შეიცვალა, ასევე შეიცვალა შემადგენლობაც და მათ ეს შეუთანხმებლად და უცოდინარობით ჩაიდინესო. თან გვარწმუნებდნენ, რომ რესპუბლიკათა გამყოფი საზღვარი ქედზე გადის, ჩიჩხიტურის კოშკის ერთი კუთხე და კელიები მათ მხარეს ხვდება და იურიდიულად ამის უფლება აქვთო. ითხოვდნენ დრო მიგვეცა და სიტუაციას აუცილებლად გამოვასწორებთო. იყო საეჭვო და გაუგებარი გარემოებები.

იხ. 6-7 გვ.



## ტაბატაძეების 9-შვილიან ოჯახს ბინა აჩუქეს!

ტაბატაძეების მხიარულ ოჯახს, რომელიც მე-10 შვილს ელოდება, m²-მა 130 კვადრატული მეტრის ფართის ბინა გადასცა.

**მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ სიუჟეტი ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის დილაში“, ოქტომბერში გავიდა. მშობლებს ახლა 7 ბიჭი და 2 გოგო ჰყავთ. მე-10 შვილსაც გოგოს ელოდებიან. უკვე შერჩეული აქვთ სახელიც — ანა.**

**დედა, ქეთევან ტაბატაძე პროფესიით ინგლისური ენის პედაგოგია, ხოლო მამა - 44 წლის შალვა ტაბატაძეა. როგორც ბავშვების დედა ამბობს, მისთვის ყოველი მშობიარობა რისკის შემცველი იყო, რადგან პირველი შვილი საკეისრო კვეთით დაიბადა. დანარჩენი 8 შვილი მან ფიზიოლოგიური გზით გააჩინა. ასევე აღსანიშნავია, რომ მამა ყველა მშობიარობას დაესწრო.**

**„რეალურად ჩვენთვის 1 ჩვეულებრივი დღე არის არაჩვეულებრივი“,** — ხუმრობს ქეთევან ტაბატაძე...

გილოცავთ, ტაბატაძეებო! მრავალ ახალ წელს! გამრავლდით და გაგვახარეთ!

## პირველი ახალშობილი ახალ წელს

**საქართველოში 2021 წელს პირველი ახალშობილი 00:06-ზე დაიბადა. მშობიარე ახალგაზრდა ქალი კლინიკა „ბაიებში“ 11 საათზე შეიყვანეს და მან ვაჟი გააჩინა.**

ახალშობილს სანდრო დაარქვეს. ამ დროისათვის დედა და ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ.

## საუკუნის ქალბატონს ახალი წელი მოულოცეს



აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ ახალი წელი ქედაში მცხოვრებ 100 წლის გულესარ წულუკიძეს მიულოცა.

**„აჭარის მთიანეთში საუკუნეს გადაცილებული ბევრი ხანდაზმული ცხოვრობს, თუმცა ქალბატონი გულესარის შემთხვევა განსაკუთრებულია იმით, რომ მან რამდენიმე დღის წინ დაამარცხა კორონავირუსი. წულუკიძეების ოჯახში კორონავირუსი ყველა წევრმა დაამარცხა. ამჟამად საუკუნის ხნის ქალბატონიც და მისი ოჯახის წევრებიც თავს კარგად გრძნობენ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარისგან მათ საჩუქრები და მილოცვა უშუალოდ ოჯახში მიიღეს“.**

## რასაცა გასცემ, შენია!

**უცნობმა სამების ტაძარში მისულებს 50-ლარიანები ჩამოურიგა!**

ეს პატარა საახალწლო ამბავი თბილისში მოხდა — 31 დეკემბერს სამების ტაძარში მოსალოცად მისულ ადამიანებს უცნობმა პირმა, რომელიც ანონიმად დარჩა, „უბრალო“ ფურცელში გახვეული 50-ლარიანი ბანკნოტები ჩამოურიგა და ტაძარი დატოვა .

## ბიძინა ივანიშვილმა თემურ თათარაშვილს ავტომანქანა აჩუქა!

მომღერალი თემურ თათარაშვილი სოციალურ ქსელში მანქანის ფოტოს აქვეყნებს და წერს, რომ ბიძინა ივანიშვილმა აჩუქა და ამისთვის მადლობას უხდის.

**„დიდი მადლობა ბატონ ბიძინას ასეთი საახალწლო საჩუქრისთვის“,** — წერს თათარაშვილი.





# შაჰ-დენიზის საბადოდან ევროკავშირში გაზის მიწოდება დაიწყო,

## ეს ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით დიდი წინგადადგმული ნაბიჯია

**შაჰ-დენიზის საბადოდან ევროკავშირში გაზის მიწოდება დაიწყო. ეს ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით დიდი წინგადადგმული ნაბიჯია,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

**დერეფანი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და თურქეთზე გამავალი მიწოდების მარშრუტების განვითარებას რეგიონიდან ევროპაში ბუნებრივი გაზის მიწოდებისათვის. სამხრეთის დერეფანი ხელს უწყობს ევროპაში ადგილობრივი გაზის წარმოების შემცირების კომპენსირებას. გაზის სამხრეთის დერეფნის მნიშვნელოვანი დანიშნულებაა, აგრეთვე, კონკურენციის გაძლიერება საერთო ევროპულ ბაზარზე. ამავდროულად, უზრუნველყოფილი იქნება ბალკანეთის იმ ქვეყნების მომარაგება კომერციულად მიმზიდველი და ეკოლოგიურად მინიმალური ზიანის მომტანი ბუნებრივი გაზით, რომლებიც დღემდე არ იყენებდნენ მას, ან კრიტიკულად არიან დამოკიდებული რუსული გაზის იმპორტზე.**

სამხრეთი გაზის „კორიდორი“ უზრუნველყოფს აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის საბადოს ბუნებრივი გაზის თურქეთსა და ევროგაერთიანების ქვეყნებში მიწოდებას, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის ტერიტორიების გავლით. იგი ევროკავშირის 7 ქვეყნისა და თურქეთის 10 მსხვილ შემსყიდველს მოემსახურება.

საქართველო, მოქმედი სამთავრობათაშორისო და მასპინძელი ქვეყნის შეთანხმებებით და შესაბამისი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, შეღავათიან ფასებში — საბაზრო ფასთან შედარებით დაახლოებით 2-ჯერ და მეტად ნაკლები ფასით მიიღებს გაზს სამხრეთ კავკასიურ მილსადენის პროექტიდან. ოპციური გაზის კონტრაქტი საშუალებას იძლევა, მიღებულ იქნეს გატარებული გაზის 5%-მდე მოცულობის გაზი ყოველწლიურად. კონტრაქტი ძალაშია 2066 წლამდე. დამატებითი გაზის კონტაქტი ძალაშია 2026 წლამდე და საქართველო, ამ კონტრაქტით, ყოველწლიურად 500 მლნ კუბ.მეტრამდე გაზს მიიღებს.



როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური ეფექტი, რომელიც გაზის სამხრეთი დერეფნის მოჰყვა. თუ დღემდე საქართველო გაზის მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენდა — ახორციელებდა აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტს თურქეთში და რუსული გაზის ტრანზიტს სომხეთში — ახლა იგი უკვე საერთაშორისო მასშტაბის მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ამიერიდან ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული გაზი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საერთაშორისო, ძირითადად ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრების დივერსიფიკაციისა და მიწოდების უსაფრთხოების ამაღლებაში.

**სამხრეთი გაზის კორიდორი სამი მილსადენის — „სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება“ (SCPX), „ტრანს-ანატოლიური“ (TANAP) და „ტრანს-ადრიატიკული“ მილსადენების (TAP) პროექტისაგან შედგება.**

**სამხრეთის გაზის დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — ტრანსანატოლიური მილსადენის პროექტი (TANAP) საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად გასულ წელს გახსნა“.**

# საგარეო ვალის გამო ხელისუფლებაში ატეხილ განგაშს კონკრეტული საქმე უნდა მოჰყვეს!

**საგარეო ვალის არანორმალურმა ზრდამ მთავრობასაც კი დიდი საფიქრალი გაუჩინა, ხოლო პარლამენტში უკვე განგაშის პირველი ნიშნებია.** მხოლოდ ვალის ამჟამინდელი სიდიდე არ არის პრობლემა, დამატებით ისაა თავსატეხი, რომ შემდგომ წლებშიც მისი შემცირება ვერ მოხერხდება და პანდემიის გაგრძელების შემთხვევაში, ვინძლო მისი გაზრდაც მოხდეს.

ოფიციალური მონაცემებით, **საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 19.7 მლრდ აშშ დოლარი (64.7 მლრდ ლარი) შეადგინა. 2020 წლის მესამე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 781.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო ვალი 584.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ხოლო ფასის, საკურსო და სხვა ცვლილებების გამო ვალი შესაბამისად — 83.3 მლნ აშშ დოლარით, 48.9 მლნ აშშ დოლარითა და 65.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ქვეყანას რომ უდიდესი ვალი დაუგროვდა,** ამის შესახებ უკვე ის პირებიც ალაპარაკდნენ, ვინც ამ საგარეო ვალდებულებებს იღებენ. ფინანსთა მინისტრის **ივანე მაჭავარიანის** განცხადებით, სახელმწიფო ვალი იმ ნიშნულზე, რაც პანდემიამდე იყო, მომდევნო ოთხი წელი, სავარაუდოდ, ვერ დაბრუნდება.

**„საკმაოდ რთულ ფაზაში შევდივართ, მაგრამ ყველა წანამძღვარი აქვს ჩვენს ქვეყანას, რომ აქედან გამოვიდეთ ღირსეულად, უფრო გაძლიერებული. მოკლე ვადაში და საშუალო ვადაში, ალბათ, ვერა, მაგრამ გრძელ ვადაში შეიძლება, უფრო ძლიერებიც გამოვიდეთ. ვერც ერთმა ქვეყანამ, როდესაც კრიზისის მერე მათ გაექცათ ვალი, ვერ მოახერხა, რომ კრიზისის შემდგომ დაბრუნებულიყვნენ წინა მაჩვენებელზე. ეს ვერ ხდება ძალიან ძლიერ ქვეყნებშიც. შემდეგ ოთხ წელიწადში თუ შევძელით, რომ ვალის მოცულობა მშპ-ის 50%-ის მიდამოში ჩამოვიდეს, ეს იქნება დიდი გამარჯვება და ამის წინაპირობა არსებობს“,** — განაცხადა მაჭავარიანმა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის **ირაკლი კოვზანაძის** შეფასებით, 2021-22 წლებში მკვეთრად იზრდება რისკები, რაც საფრთხის შემცველია მაკროეკონომიკური, მონეტარული სტაბილურობისთვის, ლარის კურსისა და ეკონომიკური ზრდისთვის.

**„არ დაგიმალავთ და ვიტყვი, ჩემს შეშფოთებას იწვევს ის, რომ 2021 წელს ჩვენ გვექნება მთავრობის ვალისა და დეფიციტის მკვეთრი, ნახტომისებური ზრდა. გაზრდილმა რისკმა, თავის მხრივ, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულაციას და, აქედან გამომდინარე, ასიგნებების განხორციელებას. ვალის შემცირების მიმართულებით მკვეთრი მოძრაობა 2021 წელსვე უნდა დავიწყოთ. სხვა შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, 2021 წელს თუ არა, 2022 წელს ჩვენს რეიტინგთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები გაჩნდეს. ვფიქრობ, საჭიროა ამ საკითხებზე ახლავე ფიქრი“,** — განაცხადა კოვზანაძემ.

კიდევ უფრო კრიტიკული აღმოჩნდა დეპუტატი **ირაკლი მეზურნიშვილი**, რომლის აზრითაც ბოლო წლების განმავლობაში საქართველო საგარეო ვალს აკონტროლებდა და სტაბილური იყო სიტუაცია, მაგრამ ახლა სავალალო ვითარებაა.

**„მესმის, რომ ბევრი წარმატებული ქვეყანაც ევროპაში კრიტიკულ ზღვარს გადასცდა უკვე, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ განვითარებულ ქვეყნებში ზოგადად სახელმწიფო ვალი სტრუქტურულად 2 ნაწილად იყოფა, ეს არის საშინაო და საგარეო ვალი. ამ პარამეტრში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ჩვენთან უფრო სახიფათო სიტუაციაა, რადგან ჩვენი საგარეო ვალის სტრუქტურა არის დაახლოებით 80% - 20%-ზე. ეს ნიშნავს იმას, რომ 80% არის წმინდა საგარეო ვალი. რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული ვალუტის ნებისმიერმა დევალვაციამ შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მკვეთრი ზრდა ამ საგარეო ვალის, რომელიც დღეს არის 60%-ზე, ხვალ შეიძლება გახდეს 63-65% იმ შემთხვევაში თუ ლარის მკვეთრი დევალვაცია მოხდება“,** — განაცხადა მეზურნიშვილმა. უდიდესი საგარეო ვალის გასტუმრებას ქვეყანა იმ პირობებში ვერ მოახერხებს, როგორშიც ახლაა.

ეკონომისტი **ირაკლი ყიფიანი** მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პრობლემა რეალურად ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკა ნელა იზრდება.

**„მინისტრმა დააანონსა და თქვა, რომ 4 წლის შემდეგ ჩვენი ეკონომიკა იმ მდგომარეობაში იქნება, როგორშიც პანდემიამდე, ანუ 2019 წელს. ეს პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკა მომდევნო 4 წელიწადში, ფაქტობრივად, არ გაიზრდება. ვალის 60% ნიშნავს კრიტიკულ ზღვარს, რაც მიუთითებს, რომ თუ საგარეო ვალდებულებას ვეღარ ისტუმრებს, ქვეყანა გადახდის უნარს კარგავს. ამ ნიშნულს რომ ჩამოვცდეთ, საჭიროა, ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად გაიზარდოს, მაგრამ ეს ვერ მოხდება“,** — განაცხადა ყიფიანმა.

**ბექა დანელია**



# პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი: ...ამ პატარა ქვეყანამ შეინარჩუნა სტაბილურობა და აქვს საკუთარი თავის იმედი!

**2020 წელს ვემშვიდობებით! ეს წელი უმძიმესი აღმოჩნდა მსოფლიოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მოსახლეობისთვის. მინდა მივუსამძიმრო ყველას, ვინც ამ ურთულეს პერიოდში დაკარგა ოჯახის წევრი, ახლობელი თუ მეგობარი. პანდემიამ შეცვალა მსოფლიო — შეარყია ეკონომიკა, ჩაგვიკეტა საზღვრები, ჩვენც შეგვცვალა — შიში ჩაგვინერგა. უარყოფითთან ერთად, პანდემიამ დაგვანახა, რომ გადარჩენა მხოლოდ სოლიდარობით, ერთმანეთის ნდობით და გაფრთხილებით შეიძლება; პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა დაავადების დამარცხების ერთადერთი გზაა! მთავარია, არ მივეცეთ სასოწარკვეთილებას, რამეთუ ყველფერ ცუდს კარგი მოსდევს.**

პირველ რიგში, ეს ეხება ჯანდაცვის სფეროს. მისი წარმომადგენლები — ეპიდემიოლოგიები, ექიმები, ექთნები, სასწრაფოს მუშაკები — ფრონტის წინა ხაზზე იდგნენ, უშუალოდ განიცადეს ყველა დარტყმა და დანაკარგი. მათ შორისაც დიდია მსხვერპლი. თუმცა, იმავდროულად აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენ გვყავს მსოფლიო დონის პროფესიონალები და ჩვენმა ჯანდაცვის სისტემამ გაუძლო იმას, რასაც ჩვენზე ძლიერმა ქვეყნებმა ვერ გაუძლეს.

ამას არ ველოდით და გაგვიკვირდა. ამით ჩვენ დავიმსახურეთ მსოფლიოს მხრიდან მაღალი შეფასება, რამაც განაპირობა მასშტაბური საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა. პანდემიის მართვის პროცესში ძალიან დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობა დაეკისრა ჩვენს პოლიციას და თავდაცვის ძალებს. აქაც შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, თუ როგორი თავდადებითა და რა ეფექტურად გაართვეს მათ თავი ამ ურთულეს და უჩვეულო სიტუაციებს.

მსოფლიო კარანტინმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ჩვენს ეკონომიკას, კერძოდ, ტურისტულ სფეროს. თუმცა, შიდა ტურიზმის პოპულარიზაციამ ბევრ ოჯახს მისცა საშუალება, საქართველო ხელახლა აღმოეჩინა. ბევრს სოფლად დაბრუნების სურვილი გაუჩინა. ამით ჩვენ, ყველამ ერთად მოვახერხეთ, შევხიდებოდით ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მძიმედ დაზარალებულ სფეროს.

განათლების სფეროში — ერთი მხრივ, ახალგაზრდებისთვის რთული აღმოჩნდა დისტანციური სწავლება და დამთრგუნველი ერთმანეთთან კონტაქტის დაკარგვა, თუმცა არ გამოცხადებულა აკადემიური წელი და ერთიანი ეროვნული გამოცდები შეუფერხებლად ჩატარდა. ყველაფრის მიუხედვად, ჩვენ აქაც შევძელით ის, რაც ჩვენზე ბევრად ძლიერი ქვეყნებისთვისაც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა — გაიხსნა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

კულტურაზე ძალიან მძიმედ აისახა პანდემია. დისტანციური ფორმატების მიუხედავად, ეს სფერო პრაქტიკულად გაიყინა, რადგან კულტურა პუბლიკის გარეშე ძნელად თუ ცოცხლობს. ამ ფონზე ძალიან ვამაყობ იმით, რომ სრულყოფილად ჩავატარეთ ეროვნული და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიების სახელმწიფო კონკურსები. შევკრიბეთ კომისიები, მივიღეთ მსოფლიო დონის სამეცნიერო ნაშრომები და ლიტერატურული ნაწარმოებები, გამოვავლინეთ გამარჯვებულები.

პანდემიის გამო დაჯილდოების ცერემონია ჯერ ვერ ჩატარდება, მაგრამ მინდა ამ ახალი წლის ღამეს გაგაცნოთ გამოვლენილი ლაურეატები და ერთად მივულოცოთ მათ ეს დიდი წარმატება, რომელიც ქვეყანას ასახელებს.

ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პრემია ლიტერატურასა და პოეზიაში მიენიჭა პოეტსა და მთარგმნელს **დავით წერედიანს**. ვწუხვარ, რომ მას ეს მნიშვნელოვანი აღიარება სიცოცხლეში არ ერგო. ეროვნული პრემიის გამარჯვებულები კი ქიმია-ბიოლოგიის დარგში ერთობლივი ნაშრომისთვის არიან **გიორგი კვესიტაძე, გია ხატისაშვილი** და **თინათინ სადუნიშვილი**, ფიზიკის დარგში — **ალექსანდრე შენგელია**.

ერთადერთი სფერო, სადაც პანდემიამ აქტივობა ვერ შეანელა, პოლიტიკაა! მძიმე პოლიტიკური წელი გვქონდა, თუმცა აქაც შევძელით და მივიღეთ კონსტიტუციური ცვლილებები, ახალი საარჩევნო კოდექსი. ჩავატარეთ არჩევნები, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ შეაფასა, როგორც სამართლიანი და კონკურენტული. შედგა პარლამენტი.

პანდემიამ ერთი რამ მაინც ვერ შეცვალა — ოკუპაცია და ჩვენი ტკივილი. დღეს მან კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ისედაც უმძიმესი მდგომარეობა, თუმცა დაგვანახა, თუ რამდენად აუცილებელია, სამომავლოდ გამოვნახოთ სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზები, ანუ გზა ოკუპაციის დასაძლევად. მთავარი მიღწევა კი ის არის, რომ ურთულესი პირობების მიუხედავად, ოკუპაციისა და მძიმე რეგიონალური კონფლიქტების მიუხედავად, ამ პატარა ქვეყანამ შეძლო და შეინარჩუნა სტაბილურობა, მდგრადობა, აქვს საკუთარი თავის იმედი და სხვებსაც არაერთგზის აჩვენა, რომ ასე მარტივად არ ნებდება.

ალბათ; რთული ზამთარი გველის და გამოწვევები არ გამოილევა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ გზას გავივლით. ისიც ვიცით, რა გვჭირდება ამ გზაზე ერთმანეთის ნდობა, გაფრთხილება, სოლიდარობა და ერთიანობა! უნდა დავძლიოთ გაუცხოება, უარი უნდა ვუთხრათ სიძულვილსა და დაპირისპირებას! 2021 წელი ნდობის წელი უნდა იყოს! ყველას, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ჯამრთელობას, მხნეობას, წარმატებებს და ერთსულოვნებას!



## პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე: მომავალი წელი, ისე როგორც არასოდეს, მოითხოვს ერთმანეთზე ზრუნვას და თანადგომას!

**ძვირფასო თანამოქალაქეებო, საქართველოს პარლამენტის სახელით, გილოცავთ ახალ, 2021 წელს! ეს წელი მშვიდობის, კეთილდღეობის და ჯანმრთელობის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.**

განსაკუთრებით ვულოცავ და მადლობას ვუხდი ჩვენი დროის გმირებს — ექიმებს, ექთნებს, პოლიციელებს, ჯარისკაცებს და იმ პროფესიის წარმომადგენლებს, ვინც პირდაპირ იყო ჩართული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში — მათ ყველაფერი გააკეთეს სხვების სიცოცხლის გადასარჩენად! ახალ წელს ვულოცავ საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეებს და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრებ ჩვენს დებსა და ძმებს! ერთიანი, ძლიერი საქართველო და ძლიერი საზოგადოება ჩვენი საერთო მიზანია! გასულმა წელმა გვაჩვენა, რომ პროფესიონალიზმით, ერთიანობით და სოლიდარობით შევძლებთ ყველა სირთულის დაძლევას. შევძლებთ ეკონომიკის სწრაფ აღდგენას, დემოკრატიის გაძლიერებას და უსაფრთხოების განმტკიცებას! მომავალი წელი, ისე როგორც არასოდეს, მოითხოვს ერთმანეთზე ზრუნვას და თანადგომას, უფრო მეტ სიყვარულს და მომავლის რწმენას! კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს!“

## პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია: 2021 იქნება ქვეყნის აღდგენის და განვითარების წელი!

**ძვირფასო თანამოქალაქეებო!**

**გილოცავთ დამდეგ 2021 წელს. ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს. გასული წელი მთელი მსოფლიოსთვის უჩვეულო და გამოწვევებით სავსე იყო. ჩვენ აღმოვჩნდით ომში უხილავ მტერთან, რომელმაც გვაიძულა, უარი გვეთქვა ჩვეული ცხოვრების რიტმზე, დაგვაკარგინა ძვირფასი ადამიანები.**

დიდ განსაცდელთან ერთად, ამავე დროს, 2020 წელი დიდი გადაფასებების წელიც იყო, როდესაც თითოეული ჩვენგანი დაფიქრდა ყველაზე მთავარ ღირებულებაზე — ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, რომლის გარეშეც არაფერს აქვს ფასი.

რაც ყველაზე მთავარია, 2020 წელი იყო უპრეცედენტო სამოქალაქო პასუხისმგებლობის წელი, როდესაც სახელმწიფო და მოქალაქე ერთად დადგა გამოწვევის პირისპირ. უხილავ მტერთან ბრძოლას საკუთარი გმირები ჰყავს. ეს გმირები არიან ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე ადამიანები — ექიმები, ექთნები თუ სანიტრები, რომლებიც ამ წუთებშიც იბრძვიან ჩვენი მოქალაქეების გადასარჩენად, — მინდა მათ მუდამ ახსოვდეთ, რომ ყველანი განსაკუთრებულად მადლიერები ვართ მათი.

ეს გმირები არიან ის პოლიციელები, ჯარისკაცები, თვითმმართველობების თანამშრომლები, თითოეული ის საჯარო მოხელე, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა, რათა უფრო უსაფრთხო გარემო შეექმნა, უბრალოდ დახმარებოდა ჩვენს თითოეულ მოქალაქეს.

წელს უჩვეულო გარემოში ვხვდებით ახალ წელს — არ ვმართავთ საზეიმო ღონისძიებებს და მოკრძალებულად, მხოლოდ ვიწრო ოჯახურ წრეში აღვნიშნავთ ამ ყველასთვის, განსაკუთრებით კი, ბავშვებისთვის, საყვარელ დღესასწაულს. დღეს სწორედ ეს არის პასუხისმგებლობა ერთმანეთის, განსაკუთრებით კი, ჩვენი ხანდაზმულების წინაშე.

დღეს არ არის რაიმე ნიშნით დაყოფის დრო. დღეს მთელი ქვეყანა, — მათ შორის პოლიტიკური თუ სამოქალაქო საზოგადოება, ყველა ერთად უნდა ჩავდგეთ სახელმწიფოს და საქართველოს მოქალაქის სამსახურში — ამას გვავალებს ჩვენი ხალხი.

ეს არის მთავარი წინაპირობა იმის, რომ მომავალი წელი გამარჯვების მომტანი იყოს! მინდა, მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი ჩვენს თითოეულ თანამემამულეს — საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ; ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს — ჩვენ მხოლოდ მათთან ერთად შევქმნით საქართველოს უკეთეს მომავალს. ვულოცავ



ჩვენს პოლიციელებს, ჯარისკაცებს, მასწავლებლებს, საჯარო მოხელეებს —ყველას, ვინც დაუღალავად შრომობს ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

ვულოცავ ბავშვებს, რომლებსაც ასე ახარებთ ახალი წელი. ვულოცავ ჩვენს უფროს თაობას, — მინდა იცოდეთ, რომ თქვენ განსაკუთრებულად გიფრთხილდებით.

ერთიანობა დაგვაძლევინებს ყველა განსაცდელს და მიგვიყვანს ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნების ახდენამდე — საქართველო დაიმკვიდრებს საკუთარ ღირსეულ ადგილს საერთო ევროპულ ოჯახში. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2021 წელს, რომელიც იქნება უკეთესი მომავლის, ქვეყნის წარმატების, აღდგენის და განვითარების წელი!

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას!



## თბილისის მერი კახა კალაძე: „საქართველოს ბევრი განსაცდელი გადაულახავს და არ დაცემულა!

**„მიილია 2020 წელი — წელი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში დარჩება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და რთული წელი. ჩვენ, ყველას ერთად გლობალური პანდემიის წესებით მოგვიწია ცხოვრება. უკვე გავიარეთ ახალ რეალობასთან ადაპტაციის რთული ეტაპები. სოლიდარობამ, ექიმების თავდადებამ, საჯარო მოხელეთა ძალისხმევამ, საპატრულო პოლიციის 24-საათიანმა საქმიანობამ, თბილისის მერიის ყველა უწყების თავდაუზოგავმა შრომამ და თითოეული ჩვენგანის უკეთესი მომავლის რწმენამ მოგვცა ძალა, ეს მძიმე პერიოდი გადაგვეტანა, არ დავნებებულიყავით და დღეს უკვე ყველა იმედით შევყურებთ ახალ, 2021 წელს.**

„ჩემო საყვარელო ხალხო, მინდა, მთელი გულით მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, გისურვოთ პირველ რიგში, ჯანმრთელობა და ბედნიერება. ჩვენ ერთად ვართ, სოლიდარულები ვართ და ყველა ერთად, ყველა სირთულეს დავძლევთ. საქართველოს ბევრი განსაცდელი გადაულახავს და არ დაცემულა — ფერფლიდან აღმდგარა და ახალი სიცოცხლე დაუწყია. მომავალი წელი იქნება აღდგენის, განახლების და გაძლიერების წელი.

მეგობრებო, ჩვენს ერთად ყოფნას, მომავლისკენ სვლას ვერაფერი შეაჩერებს. გილოცავთ დიდი სიყვარულით და ოპტიმიზმით სავსე გულით! ყველაფერი ცუდი წარსულში დავტოვოთ, ახალ წელს შევეგებოთ იმედით და რაც მთავარია, ერთმანეთის სიყვარულით.

გილოცავ, საქართველო! გილოცავ, ჩემო თბილისო! გილოცავთ, ჩემო უსაყვარლესო ხალხო! მრავალჟამიერ!“

**პანდემიისა და კოვიდრეგულაციების ფონზე 2020 წელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ეკონომიკური კრიზისის მასშტაბმა 2009 წლის ომის შემდგომდროინდელ ვარდნასაც კი გაუსწრო. გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა ექსპორტი და ინვესტიციები, რაც შეეხება ტურიზმს, ის აპრილიდან პრაქტიკულად ნულოვან ნიშნულზეა გაყინული.**



# 2020 წლის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენები

**ტურიზმის ვარდნა**. ადგილობრივი და საერთაშორისო შეზღუდვების გამო ყველაზე დიდი დარტყმა წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორმა მიიღო, იმდენად დიდი, რომ ინდუსტრია 2000-იან წლებში დაბრუნდა და მისი სრული აღდგენა 2025 წლამდე ვერ მოხერხდება. 2019 წელს საქართველოს 9.08 მლნ საერთაშორისო მოგზაური ეწვია, საიდანაც 5.08 მლნ ტურისტი იყო. 11-თვიან მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ წელს საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 5.35-ჯერ 1.75 მლნ-მდე, ხოლო ტურისტების რაოდენობა 7.06-ჯერ 0.72 მლნ-მდე მცირდება. შარშან ინდუსტრიიდან მიღებულმა შემოსავალმა 3.3 მლრდ დოლარს გადააჭარბა, წელს მინიმუმ 3.5 მლრდ დოლარი იყო პრონგოზირებული, მაგრამ აქედან 3 მლრდ დოლარზე მეტი უკვე დაიკარგა.

**უმუშევრობის ზრდა**. ეკონომიკური კრიზისების პერიოდში უმუშევრობის ზრდა თითქოს კანონზომიერიცაა, მაგრამ ახლა ადამიანები უმუშევრად მოთხოვნის ნაკლებობის გამო კი არა სამთავრობო რეგულაციების შედეგად იქცნენ. პირველი ლოკდაუნის შემდეგ უმუშევრობის 200-ლარიანი კონპენსაციით სულ 162 000-მა ადამიანმა ისარგებლა, მათგან 70 000-ზე მეტმა დახმარება 6-ჯერ აიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დანარჩენმა 92 000-მა ადამიანმა ან ძველ სამსახურში აღიდგინა თავი ან სადმე სხვაგან დასაქმდა, 70 000-ზე მეტმა ადამიანმა იგივე ვერ მოახერხა. იმავე პერიოდში ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარება 249 000-მა ადამიანმა აიღო. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის, რომ დასაქმებულებთან ერთად სამუშაოს მაძიებელთა რიცხვიც შემცირდა. თუ II კვარტალში ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა რაოდენობა 1.920 მლნ-ს შეადგენდა, III კვარტალში მათი რიგები 72 ათასმა პირმა დატოვა. სამუშაო ძალის მკვეთრი შემცირება მასობრივ უიმედობას უსვამს ხაზს და იმაზე დიდი პრობლემაა ვიდრე უმეშევართა რაოდენობის პროცენტული ზრდა.

**სიღარიბის ზრდა**. სიღარიბისა და უკიდურესი სიღარიბის განახლებული მაჩვენებლები უცნობია, თუმცა ცნობილია სოციალური დახმარების მიმღებთა მზარდი სატისტიკა. 3.7-მლნ-იან ქვეყანაში ოქტომბრის მდგომარეობით, სოციალურ დახმარებას, რომელიც სულზე 60 ლარამდე თანხას შეადგენს და ასევე გათვალისწინებულია სხვა მცირე შეღავათები კომუნალურ გადასახადებსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაზე, 510 ათასი ადამიანი იღებს, თებერვლიდან დღემდე ეს რიცხვი 70 ათასით გაიზარდა. იანვრიდან ნოემბრამდე დახმარების მომთხოვნთა რაოდენობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში 921 ათასიდან 994 ათასამდე გაიზარდა.ყოველი 100 ადამიანიდან 27 სახელმწიფოს დახმარებას სთხოვს და მათგან ყოველი 14 ამ დახმარებას იღებს.

**ლარის ვარდნა**. ლარმა წელს გაუფასურების რამდენიმე რეკორდი მოხსნა. დოლართან მიმართებაში ოფიციალურმა კურსმა მაქსიმუმს — 3.48-ს 27 მარტს მიაღწია, ბანკებსა და სავაჭრო ჯიხურებში 3.50-ზე მეტიც ღირდა, ევროსთან კი — 6 დეკემბერს 4.03-ს. დოლართან მიმართებაში ლარმა 3.00-იანი ნიშნული პირველად 17 მარტს გადალახა. ამჟამად კურსი 3.27-ს შეადგენს, რაც წლის დასაწყისთან შედარებით 13.9%-ით ანუ 40 თეთრით მეტი. ეროვნულ ვალუტას სების 25-ჯერადმა 843 მლნ დოლარიანმა ინტერვენციამ უშველა, მან მხოლოდ გაუფასურების ტემპი შეანელა. მართალია ინტერვენციების შედეგად რეზერვები არ შემცირებულა, პირიქით წელს ის 3.506 მლრდ დოლარიდან 43.751 მლრდ-მდე გაიზარდა, მაგრამ ის თანხა ეროვნულ ბანკს არ დაუბეჭდავს და სესხის სახით მიღებული დახმარებები გაყიდა, რაც მასზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯთან ერთად უახლოეს წლებში საქართველოს მოქალაქეების გადასახდელი იქნება.

**ვალის ზრდა**. 2002 წლის შემდეგ პირველად მთავრობის ვალმა მშპ-ს 60%-ს გადააჭარბა. ამჟამად 61%-ია, 1 წლის წინ პანდემიამდე 41% იყო. ასეთი მკვეთრი მატება 3 მიზეზითაა გამოწვეული: 1) შემცირებული ეკონომიკური აქტივობის შედეგად, ბიუჯეტში შემცირებული გადასახადების დასაბალანსებლად უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისთვის თუნდაც მიზერული დახმარების გასაწევად სახელმწიფოს დაგეგმილზე 3-ჯერ მეტის — 2.4 მლრდ დოლარის ვალის აღება მოუწია; 2) ვალი ძირითადად უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ერთ წელიწადში ლარი დოლართან მიმართებაში 13.9%-ით გაუფასურდა; 3) ეკონომიკა ზრდის მაგივრად 10 თვეში 5.1%-ით შემცირდა, რაც ვალის ნომინალურად იმავე მოცულობით დარჩენის შემთხვევაშიც კი მის ფარდობას მშპ-სთან ავტომატურად გაზრდიდა.

2011 წელს მიღებული ე.წ თავისუფლების აქტის მიხედვით, იკრძალება ვალის მოცულობის გაზრდა მშპ-ს 60%-ს ზემოთ. იგივე კანონი აწესებდა ბიუჯეტის დეფიციტის ზედა 3%-იან ზღვარს. წელს მან 8.5%-ს მიაღწია, 7%-ს გადააჭარბებს მომავალ წელსაც. თუმცა ის კანონი რომელიც ჩამკეტ ზღვრებს აწესებს, ასევე უშვებს 2 გამონაკლისსაც. პირველი ეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობაა. 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით საქართველოში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. მეორე შემთხვევაში გამონაკლისი დაიშვება მაშინ თუ ზედიზედ 2 კვარტალის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2 პროცენტული პუნქტით ან უფრო მეტით დაბალია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. დღეის მდგომარეობით ეს პირობაც გადაჭარბებით სრულდება, ზედიზედ 2 მეორე და მესამე რეცესიული კვარტალის შემდეგ დამაიმედებელი არც მეოთხე კვარტალია.

**ექსპორტის კლება**. იანვარ-ნოემბერში საგარეო ვაჭრობა 14.6%-ით 11.947 მლრდ დოლარიდან 10.202 მლრდ დოლარამდე შემცირდა. ექსპორტი შედარებით ნაკლებად 11.3%-ით 3.016 მლრდ დოლარამდე შემცირდა, მაგრამ ეს შედარებით მცირე კლებაც 387 მლნ დოლარს უდრის და ჯამში 32 მლნ დოლარით უფრო ნაკლებია ვიდრე 2018 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი. 11 თვეში იმპორტი უფრო მკვეთრად 15.9%-ით, 8.544 მლრდ დოლარიდან 7.186 მლრდ დოლარამდე შემცირდა, რამაც თავის მხრივ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 5.141 მლრდ დოლარიდან 4.170 მლრდ დოლარამდე ჯობია. სავაჭრო დეფიციტის კლება კარგია, მაგრამ გააჩნია რის ხარჯზე. იმპორტის შემცირების მიზეზი მისი ადგილობრივი ნაწარმით ჩანაცვლება არ გამხდარა. ის ენერგორესურსებზე ფასების კლებამ, რეექსპორტზე მოთხოვნის შემცირებამ და საქართველოში მსყიდველობითუნარიანობის კლებამ შეამცირა.

**ინვესტიციების ვარდნა**. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 3 კვარტალში 719 მლნ დოლარამდე შემცირდა, რაც 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კი 24%-ით — 227 მლნ დოლარით ნაკლებია. თავი რომ დავანებოთ ტურიზმის სექტორს, წელს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოცულობა 78%-ითაა შემცირებული.

**დიდი რეცესია**. პრაქტიკულად ყველა მიმართულებით ეკონომიკური აქტივობის ვარდნამ 10 თვეში ეკონომიკა 5.1%-ით შეამცირა. ნოემბერ-დეკემბრის მონაცემები ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ 9 ნოემბერს კომენდანტის საათი ამოქმედდა, 28 ნოემბრიდან კი ახალი ლოკდაუნი, რომელსაც „წერტილოვანი შეზღუდვები“ დაარქვეს, ვარდნა ამ თვეებში უფრო მაღალი იქნება, რაც წლიურ საშუალოზეც იმოქმედებს. ნებისმიერ შემთხვევაში რეცესიის მასშტაბი 2009 წლის მაჩვენებელს გადააჭარბებს. მაშინ ეკონომიკა 3.7%-ით შემცირდა. უფრო დიდი ვარდნა ბოლოს 1994 წელს დაფიქსირდა, როდესაც ეკონომიკა დამატებით 10.4%-ით შემცირდა.

მეორე ლოკდაუნის გამოცხადებამდე სავალუტო ფონდი 2021 წელს საქართველოს ეკონომიკის 4.3%-იან ზრდას პროგნოზირებდა, ამავე ზრდის ტემპზე დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტიც. იმის გათვალისწინებით რომ მკაცრი შეზღუდვები მინიმუმ იანვარშიც ნარჩუნდება, დღევანდელი გადმოსახედიდან ეს უკვე არარეალისტური მონაცემია. 2019 წლის ზოგადი მდგომარეობა 2022 წლამდე ვერ აღდგება, თუმცა ცალკეული დარგებს, მაგალითად ტურიზმს, კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდება.

**გიორგი ელიზბარაშვილი**

# 2020 წლის ქართული ბიზნესის ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი საქციელი

**პანდემიური 2020 წლის განმავლობაში ბიზნეს სექტორის სოციალური პასუხისმგებლობა გაორმაგდა, მათ მოუწიათ არამხოლოდ გლობალური ეკონომიკური კრიზისისგან გამოწვეული პრობლემების გადალახვა, არამედ კოვიდ-19-ის გავრცელების გამო შექმნილი მდგომარეობის დაძლევაში მოსახლეობის და სახელმწიფოს გვერდში დგომა.**

„კომერსანტმა“ გადაწყვიტა, შეგვერჩია 2020 წლის განმავლობაში ბიზნესის ყველაზე პასუხისმგებლიანი და უპასუხისმგებლო საქციელი:

### ბიზნესის ყველაზე პასუხისმგებლიანი საქციელი

კოვიდ-19 ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მთავრობამ StopCoV ფონდი შექმნა, რომელშიც თანხების ჩარიცხვა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე არაერთმა კომპანიამ განახორციელა. 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის მიერ კორნავირუსთან ბრძოლის StopCov ფონდში 138 351 872 ლარია მობილიზებული.




StopCov-ფონდში 100 მლნ ლარი „ქართუ ფონდმა“ ჩარიცხა, დანარჩენი თანხა კი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე არაერთმა დიდმა თუ მცირე კომპანიამ.

### ბიზნესის ყველაზე უპასუხისმგებლო საქციელი

**ქვეყანაში კოვიდ-19-ის გავრცელების გამო შექმნილი მდგომარეობისა და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, კომერციულმა ბანკებმა მომხმარებლებს სესხებზე საშეღავათო პერიოდით სარგებლობა ორ ეტაპად (3-3 თვით) შესთავაზა. საშეღავათო პერიოდის განმავლობაში ფიზიკურ პირებს არ უწევდათ არც სესხის ძირის და არც პროცენტის გადახდა, მაგრამ საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდებოდა, რამაც ვადის გასვლის შემდეგ მსესხებლებს რეალურად საპროცენტო ხარჯი გაუზარდა.**

ეკონომიკური კრიზისის ფონზე, შეღავათის ნაცვლად, მოსახლეობას და ბიზნესს გაძვირებული საბანკო ვალდებულებების დაფარვა უწევთ, რამაც კიდევ უფრო მეტად გაზარდა ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხების რაოდენობა.



# დავით ზარდიაშვილი: ზუსტად ეს არის ბოლშევიკური სტილი, რასაც უმცირესობა სჩადის უმრავლესობის მიმართ!

**ვინ არის წლის ადამიანი, წლის კრიმინალი და წლის პოლიტიკოსი და რა იყო 2020 წელს საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, ამის შესახებ ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი გვესაუბრება:**

**— ყველა ადამიანის გემოვნება განსხვავებულია და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 2020 წლის ადამიანად ზოგს ბადრი ესებუა მიაჩნია, ზოგიერთმა მარკეტინგული დატვირთვაც მისცა მის სახელს და წინასაახალწლოდ გასაყიდ სათამაშო ხელყუმბარებს „ესებუები“ წააწერა. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება დასახელდეს 2020-ის გამორჩეულ პიროვნებად?**

— ბადრი ესებუას ნამოქმედარი არის 21-ე საუკუნის ყველაზე გახმაურებული კრიმინალური შემთხვევა, რაც განსაკუთრებული უტიფრობითაა ჩადენილი. განსაკუთრებულად საშიში იყო ეს ქმედება და, რაც მთავარია, ჯერჯერობით დაუსჯელი დარჩა.

**— ხალხის ნაწილი შესაძლოა, მასში დათა თუთაშხიას, ან კაკო ყაჩაღის ტიპაჟს ხედავს. მისი სატელეფონო ჩანაწერის გავრცელებამაც თავისებური ეფექტი მოახდინა, რომ ესებუას თურმე წინაპრების სამკვიდროს გაყიდვას უპირებდნენ.**

— დათა თუთაშხიასთან ამას არანაირი კავშირი არ აქვს, ეს ტიპური კრიმინალია, მაგრამ ყველა დროში კრიმინალებს ჰქონდათ გარკვეული მიზიდულობა. ამერიკის მაგალითზე თუ ვიტყვით, კლაიდი იყო პოპულარული, ბანკებს რომ ძარცვავდა.

**— ინგლისელების საყვარელ გმირად დღემდე რჩება რობინ ჰუდი...**

— რობინ ჰუდი სამართლიანობისთვის იბრძოდა, როგორც ჩვენი არსენა ყაჩაღი. კრიმინალს აქვს გარკვეული შარმი, მითებში ხვევს ადამიანებს. ესებუას მითოლოგიზება კი არ გამოდის, ის მაინც ჩვენი თანამედროვეა, ყველამ ვნახეთ, რაც მოხდა. რაც შეეხება ესებუას შესახებ ჩანაწერის გავრცელებას, არსენასაც თუ შევადარებთ, დაახლოებით ასე იყო, ქალი წაართვა ბატონმა და ამის შემდეგ გახდა ყაჩაღი. ყველა დროს ჰყავდა ასეთი ხალხი, პოპულარულები იყვნენ, რადგან რეჟიმს ებრძოდნენ. ხარება და გოგია იყვნენ ტიპური ყაჩაღები, მაგრამ მითოლოგიამ ისინი სამართლიანობისთვის ბრძოლას დაუკავშირა. ისინი პოპულარულნი გახდნენ, რადგან რეჟიმს ებრძოდნენ. ესებუას მათთან შედარებაც არ შეიძლება, დღეს არ არის ის რეჟიმი, რომელსაც უნდა ებრძოლო. უბრალოდ, ესებუას პოპულარობა უნდა აიხსნას განსაკუთრებულობით, არავითარი კავშირი ამას სამართლიანობასთან ან რაღაც გაგებით სიკეთესთან არ აქვს.

**— შეიძლება, ხალხს წყნარი ცხოვრება მობეზრდა, სტაგნაციას რომ ვეძახით?**

— კარგი ცხოვრება სად არის? ფული რომ გვაკლია, ეს გასაგებია, ღარიბად რომ ვცხოვრობთ, ესეც არაა გასაკვირი, მაგრამ სანახაობა, იცოცხლე, იმდენია. სანახაობა საკმარისზე მეტია. ტელევიზორი რომ ჩართოთ, სულ არაფერი რომ არ ხდებოდეს, შეიძლება, ისე მოგაჩვენონ ვითარება, გაგიჟდეს კაცი. ამიტომ ესებუას შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ის იყო წლის კრიმინალი.

**— წლის პოლიტიკოსი თქვენთვის ვინაა?**

— წლის პოლიტიკოსი უდავოდ გიორგი გახარიაა. ეს აშკარაა, დღესაც ვუსმენდი და იშვიათად მინახავს მასზე უფრო ადეკვატური პიროვნება, ზედმეტს არაფერს იტყვის, ამბობს იმას, რასაც აკეთებს და აკეთებს იმიტომ, რომ საჭიროა. რაციონალობით გამოირჩევა, რამდენიმე თავით აღემატება ოპოზიციას ჯამში. მისი თანაზიარი ფიგურა ოპოზიციას არ ჰყავს და არც ეყოლება, რაც ძალიან ცუდია. საქართველოს პოლიტიკოსთა ნაკრები რომ წარმოვიდგინოთ, იმ ნაკრების ნაკრებია გახარია. ამიტომ მას წლის უალტერნატივო პოლიტიკოსად მივიჩნევდი.

**— წლის მოვლენად რას მიიჩნევთ?**

— ბუნებრივია, პანდემიას. თანაც, ეს ერთი დღე კი არ ყოფილა, მთელი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთელ მსოფლიოში. როგორც ესებუას დანაშაული იყო საუკუნის კრიმინალი, ასევე პანდემია იყო საუკუნის მოვლენა.

**— პანდემია საუკუნის მოვლენაა თუნდაც იმ მხრივ, რომ პოლიტიკურ პანდემიად იქცა და, როგორც ამბობენ, პოლიტიკოსები მას საუკეთესოდ იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც.**

— ასე ყველაფრის გამოყენება შეიძლება, მაგრამ, თუ ვინმე იყენებს კორონავირუსს, ეს შეიძლება იყოს ოპოზიცია. პირველ რიგში, ნაცები იყვნენ და არიან დღესაც პანდემიის მხარეს და პანდემიით შექმნილ კრიზისს მთავრობაზე შეტევისთვის იყენებენ. მთავრობა პანდემიას კი არ იყენებს, არამედ წარმატებით რომ ებრძვის მას, ასეთი „გამოყენება“ ალალია. თუ კარგად უმკლავდები პანდემიას, ეს შენს რეიტინგზე აისახება.

**— ზუსტად წლის ბოლოს მოგვაყარეს დენის, წყლის ტარიფების გაძვირება. ეს მთავრობის რეიტინგს არ დასცემს?**

— გასაგებია, ტარიფები გაძვირდა, მაგრამ, რამდენადაც შეეძლოთ, ეს გაძვირება შეარბილეს, რომ მოსახლეობას მეტი დარტყმა არ მიეღო. ტარიფების გაძვირება ობიექტური რეალობაა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო არსებული ტარიფების იმ მოცემულობით შენარჩუნება. რეალური საშიშროება იყო, დენის მიწოდებისას შეფერხება შექმნილიყო. ჩვენ არ გვინდა მეცხრე ბლოკები და გრაფიკები.

**— ალბათ, გასული წელი ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იყო პოლიტიკური კრიზისის თვალსაზრისითაც.**

— დიახ, კრიზისული იყო. პანდემიას თუ არ ჩავთვლით წლის მოვლენად და სუფთა პოლიტიკურ ჭრილში შევხედავთ მოვლენებს, რასაკვირველია, არჩევნების შედეგი გახლდათ ის, რომ მან დაგვანახა პარტიულ-პოლიტიკური სისტემის უუნარობა, კრახი. როგორი მდგომარეობა მივიღეთ? მთელი ოპოზიცია და არა რომელიმე კონკრეტული ოპოზიციური პარტია აღმოჩნდა უუნარო იმაში, რომ აესახა მოსახლეობის ინტერესი, ეს ნიშნავს, რომ ოპოზიციამ წარმომადგენლობით დემოკრატიას დაუწყო საბოტაჟი. ეს აჩვენებს, რომ პარტიულ-პოლიტიკური სისტემა მძიმე მდგომარეობაშია. ეს უკვე კრიზისიც არ არის, კრიზისი იყო მანამდე, ეს არის კრახი. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ამ პარტიულ- პოლიტიკური სისტემის გამო მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ჩვენი ინტერესები გამოვხატოთ პოლიტიკაში. ვისაც მივეცით მანდატი, მათმა დიდმა ნაწილმა ეს ხმები დაგვაკარგვინა, რაკი პარლამენტში არ შედიან. ასეთი პარტიულ-პოლიტიკური სისტემა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, პარტიების განვითარებისთვის კონკურენცია ჰაერივით აუცილებელია. პარტიებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ერთმანეთის მტრები კი არა, პარტნიორები არიან.

**— პარტიულ-პოლიტიკური კრიზისის გამოძახილია, რაც ბოლო დროს პარტიებში ხდება — ელენე ხოშტარიას წასვლა პარტიიდან, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის წასვლა საკუთარი პარტიიდან? ანუ დამოუკიდებელ ბრძოლაში მეტი შესაძლებლობაა?**

— რასაკვირველია, ეს პარტიულ-პოლიტიკური კრიზისის გამოხატულებაა. ამდენ ხანს გველაპარაკებოდა ოპოზიცია კოალიციურობაზე, მაგრამ პარტიებმა კოალიციურობა საქმეში ვერ აჩვენეს, ვერ ითანამშრომლეს იმდენად, რომ „ქართული ოცნება“ დაემარცხებინათ. მათ მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებზე რომ არ ვილაპარაკოთ, შედეგი აჩვენებს, რომ მათ ვერ შეძლეს იმ ინტერესების წარდგენა, რაც ამომრჩევლებმა დააკისრეს. ამომრჩევლის დიდი ნაწილი „ოცნებას“ ეუბნებოდა, რომ თქვენი ხელისუფლება უნდა შეიზღუდოს და ოპოზიციას უნდა ჰქონდეს უფრო მეტი წარმომადგენლობა პარლამენტში. წარმოიდგინეთ, რა მძიმე მდგომარეობაა, როდესაც ამომრჩევლის ეს შეკვეთა მთლიანმა ოპოზიციურმა სპექტრმა წყალში გადაყარა. ეს არის უგულებელყოფა საკუთარი ამომრჩევლის, საკუთარი ხალხის, ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „ოცნების“ მხარდამჭერებს ისინი საერთოდ ადამიანებად არ გვთვლიან, თითქოს არც ვყოფილვართ. მილიონამდე ქართველი, რომელმაც „ოცნებას“ დაუჭირა მხარი, თითქოს არ არსებობს. საინტერესოა, რას გვიპირებენ ეგენი, ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ? ცხადია, იმას, რაც ერთხელ უკვე გააკეთეს – ჩარეცხვას. ჩვენ მათთვის ზედმეტი ადამიანები ვართ, სათვალავშიც არ გვაგდებენ.

**— პარტიებიდან ლიდერების გადინების „მოდა“ ისევ შენარჩუნდება და გრიგოლ ვაშაძის, ელენე ხოშტარიას, ზურა გირჩი ჯაფარიძის გზას ისევ დაადგებიან?**

— ამ პროცესს კარგად დანახვა სჭირდება. ფაქტია, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი ამას აცნობიერებს, მაგალითად, გიორგი ვაშაძე გაიძახის, რომ ჩვენ აღარ გვინდა არც ქოცები, არც ნაცები, ჩვენ გვინდა რაღაც სხვა, მესამე ძალა. **ეს რაღაც სხვა ტერენტი გრანელს მაგონებს,** ისიც ამბობდა, „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“, ასეა გიორგი ვაშაძეც, პოეზიაში ეს კარგია, მაგრამ შეუძლებელი და წარმოუდგენელია ამ ვითარებაში რაღაც მესამე ძალაზე ლაპარაკი, საჭიროა მთლიანად პარტიულ-პოლიტიკური სისტემის ცვლილება. რომელ მესამე ძალაზეა საუბარი, როცა არ ვიცით, მეორე ძალაც კი ვინ არის? მე რასაც ვხედავ, პოლიტიკური პარტიის ფორმა, ასე თუ ისე, „ქართულ ოცნებას“ გააჩნია, თუმცა ეს არ არის იდეალური და საუკეთესო. ყველა სხვა დანარჩენი პარტია ასეთად იწოდება მხოლოდ პირობითად. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება, უტიფრობის წარმოუდგენელი მასშტაბია, რომ კაცი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და მსჯავრდებულია, ვგულისხმობ სააკაშვილს, მისი მთავარი საარჩევნო მიზანი იყო პრემიერ-მინისტრად გახდომა. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა.

**— ისე, ნიკა მელიაც სააკაშვილის ტიპაჟია. რაიმე უკეთესს შეიძლება ელოდოს მის პარტიას მის ხელში?**

— ზუსტად ეს არის მართვის ბოლშევიკური სტილი. სხვათა შორის, ეს საზღვარგარეთიდანაც დაინახეს, რომ უმცირესობის მხრიდან ასეთი ქცევა უმრავლესობის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკებს ახასიათებდათ. შეგვიძლია, ასეთი შედარებაც მოვიყვანოთ, თუკი სააკაშვილი არის ნაცების ლენინი, ნიკა მელია ნაცების სტალინია.



**— მაგრამ სტალინი განათლებული იყო.**

— ყველაფერი შედარებითია, ასე, სააკაშვილიც არ არის ლენინი. სააკაშვილს ლენინამდე ბევრი უკლია, მიუხედავად იმისა, რომ ლენინი იყო განსახიერებული ეშმაკი... ნიკა მელია იყო პირველი, რომელმაც ჩაიდინა „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმე. მარტო „ქართუ“ არ იყო, სხვა საქმეებიც იყო, მათ საკანონმდებლო დონეზე ჩაატარეს ოპერაცია, რომ „ქართუს“ დაეკარგა აქტივები. აღსრულების ბიუროში რა უკანონობებსაც აკეთებდა ნიკა მელია, ეგ კიდევ ცალკე თემაა. ასე რომ, მელია უყოყმანოდ ხელის მომწერია ყველანაირ მიუღებელ მეთოდზე, რაც კი შეიძლება პოლიტიკაში გამოიყენო. როცა აღსრულების ბიუროს ხელმძღვანელი იყო, სადამსჯელო ოპერაციებს ატარებდა. ამას თავი დავანებოთ, რაც სულ ახლახანს ვნახეთ, ეს იყო პარლამენტზე შტურმი. რაც არ უნდა იძახონ, ეს არაფერიაო, როგორ არ არის, კაცო, როცა ეს იყო ღია მოწოდება და ღია ორგანიზება ხელისუფლების ძალადობით შეცვლისკენ. მე ამაში ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ასე არ იყო. უბრალოდ, ჩვენი სამართალი მას ადრე თუ გვიან დაეწევა. სამართალი არ არის იმდენად თავხედი და უტიფარი, რომ პროცედურებს ყურადღება არ მიაქციოს, მელია დაიჭიროს და ბორკილები დაადოს, დრო სჭირდება ამას და იქამდე მივა ეს ყველაფერი. ასე რომ, ნაცებს ჰყავთ პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ღიად მოუწოდებდა ხელისუფლების დამხობისკენ, ამბოხებისკენ.

**— გრიგოლ ვაშაძის დონე სანატრელი ექნება ნიკა მელიას პარტიას?**

— რაც არის ეს პარტია, ის არის. ისინი ფუნდამენტურად არიან ექსტრემისტები!.. კლასიკური ექსტრემიზმია, რასაც ისინი აკეთებენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ტერორისტები არ არიან.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**



# რაც საქართველოს ეკუთვნის, ერთი მტკაველი

# ვინ გაგვიყიდა დავითგარეჯი?

(პირველი გვერდიდან)

– რას გულისხმობთ?

– ვერაფრით ვერ ვეთანხმდებოდი იმ ლოგიკას, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობდა – კოშკის ერთი კუთხე აზერბაიჯანის მხარეს ხვდება და ამიტომ უფლება აქვთ, დადგნენო. ეს პოზიცია სრულიად მოკლებულია სიჯანსაღეს. მაშინ იურიდიულ და კარტოგრაფიულ მასალებს არ ვიცნობდი, მაგრამ საკითხი მარტივი იყო. პირველი – თუ, იმ ყალბი პოზიციით, რომლის სიცრუეც მოგვიანებით გავარკვიე, ჩიჩხიტურის კოშკის ერთი კუთხე მართლაც ხვდებოდა აზერბაიჯანის მხარეს, სამი კუთხე ხომ ჩვენს მხარეს რჩებოდა და მეორე – ასეც, რომ ყოფილიყო, რატომ დაიკავეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მონასტერი და საქართველოს მხრიდან ასვლა რატომ აგვიკრძალეს? და, თუ მაინცდამაინც, დღეს უკვე გამოაშკარავებულ ამ ყალბ არგუმენტს გავყვებით, კი ბატონო, დამდგარიყვნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები, მაგრამ ჩვენც ავსულიყავით, რატომ მხოლოდ ისინი?

აი, ამ დავაში ვიყავით. მერე მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომი და ამ საკითხმა შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო უკანა პლანზე გადაიწია. თუმც, შიგადაშიგ იყო შეხვედრები, დაძაბული საუბრებიც და შეპირება, რომ ყველა ღონეს იხმარდნენ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. იცით, ძალიან ძნელია, ესეთ საკითხებში შენს ხელისუფლებას არ ენდო. არ დაგიმალავთ, წლები გადიოდა და არაფერი სასიკეთოდ რომ არ იცვლებოდა, ეჭვი და უნდობლობა გამიჩნდა, მაგრამ ამის დაჯერების უფლებას თავს არ ვაძლევდი. ძალიან ძნელია, დაიჯერო, რომ ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის ინტერესს არ იცავს და მეზობელ ქვეყანასთან ტერიტორიულ საკითხებს არასამართლებრივად და არასახელმწიფოებრივად აგვარებს.

აი, ასე იყო 2012 წლის 6 მაისამდე. მაგრამ, როდესაც ამ დღეს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უდაბნოს უწმინდესი მონასტერიც დაიკავეს და იგივე, ნაცნობი პოზიცია დაადასტურეს, რაც 2007 წელს ჩიჩხიტურზე, მივხვდი, რომ მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში, ხელისუფლების ყოველი დაპირება: **„ვმუშაობთ“, „ძალ-ღონეს არ ვიშურებთ“** და **„ყველაფერი გამოსწორდება“**, სრული ფარსი და სიცრუე იყო. აი, ამიტომ გითხარით, რომ ჩემი იმდროინდელი შეფასება – **„გარეჯს გვართმევენ“** – არ იყო ემოციური შეფასება, არამედ ხუთი წლის განმავლობაში დანახულსა და ნაფიქრს ეფუძნებოდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს მიერ ნათქვამში – „გარეჯს გვართმევენ“ – არ მოიაზრებოდა აზერბაიჯანული მხარე, არამედ ჩვენი, ვინაიდან სარწმუნოებრივ ხედვას თავი რომ დავანებოთ და ამ დიდებულ ძეგლებს კულტურის მხრიდან რომ შევხედოთ, რომელ ქვეყანას არ მოუნდებოდა? მაგრამ რას აკეთებს ამ დროს ამ სულიერი და კულტურული შედევრების შემოქმედი ერის ხელისუფლება? აი, ეს არის უმთავრესი საკითხი და არა ის, თუ ვის მოუნდება ჩვენი დიდებული გარეჯის რომელიმე შემადგენელი ნაწილი! ყოველივე აქედან გამომდინარე და იმ ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, რომელიც იურიდიული და კარტოგრაფიული დოკუმენტაციის შემდეგ გახდა ცნობილი, ჩემი იმჟამინდელი შეფასება არათუ იცვლება, არამედ უფრო არგუმენტირებული და უფრო მკაცრია.

**– ჩვენთან საუბარში კარტოგრაფი თედო გორგოძე აცხადებს – „რომ არ ყოფილიყო 2006 წლის შეთანხმება, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები თხემზე ვერ დადგებოდნენ, ეს არის კომისიის ყოფილი წევრების ყველაზე დიდი შეცდომა ან დანაშაული“. კომისიის ორი წევრი დაკავებულია. მამა კირიონ, თქვენ რა ნაწილში ხედავთ ბრალდებულების დანაშაულს?**

– გასაგებია. ამ კითხვაში სამი საკითხია გაერთიანებული და მოდით, თითოეულს ცალ–ცალკე გავყვეთ. პირველი საკითხი ეხება 2006 წლის შეთანხმების აქტებს, რომლებსაც სულ რაღაც ორიოდე თვის წინ გავეცანი, მანამდე მათ შესახებ მხოლოდ სიტყვიერად ვიცოდი. ბატონი თედო მართალს ბრძანებს, – რომ არა ეს შეთანხმება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფისა, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები უდაბნოს მთის ქედზე ვერ დადგებოდნენ. დღეს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ზოგი პარტიული და პოლიტიკური მიკერძოების, ხოლო ზოგიც უმეცრების გამო უარყოფენ ამ საქმეში არასახელმწიფოებრივ ქმედებების და დანაშაულის ნიშნებს. არ იციან, რომ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის პროცესი, რომელიც ხუთ იურიდიულ პროცესიალურ ქმედებას მოიცავს, ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებით იწყება და, რომ ამ სპეციფიურ საქმეში, პროცესუალურად ყველაზე მნიშვნელოვანი კვანძი აქ დგება. აგიხსნით რატომ, პირველი – თავდაპირველად, სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის პროცესის დასაწყებად ქვეყნების ხელისუფალნი, პოლიტკურ დონეზე თანხმდებიან რომელიმე კონკრეტულ კარტოგრაფიულ დოკუმენტზე – რუკაზე, რომლის მიხედვითაც შემდგომში მუშაობას იწყებენ დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფის წევრები.

ვინაიდან სახელმწიფოთა ნომერ პირველი ამოცანა სასაზღვრო-საბაჟო პუნქტების გახსნაა, ჯერ მას ათანხმებენ და მერე იწყება მთელ პერიმეტრზე მუშაობა. ორივე სახელმწიფოს ინტერესებშია, მალე დადგინდეს საზღვრის ხაზი, რომ სახელმწიფოებმა მესაზღვრეები განალაგონ და ამით აღკვეთონ დანაშაულებრივი ქმედებები, მაგალითად, კონტრაბანდა და არალეგალური მიგრაცია. აი, ამ საზღვრის ხაზს ადგენს დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფი.

დაუკვირდით, ვამბობ საზღვრის ხაზს, ვინაიდან პროცესის დასრულებამდე მას საზღვრის ხაზი ჰქვია, მაგრამ უმნიშვნელოვანესია აქ ის, რომ სწორედ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთანხმებული საზღვრის ხაზი, შემდგომში, პროცესუალური ნორმების დასრულებისას, ხდება სახელმწიფო საზღვარი. გასაგებია თუ რა ძირეული მნიშვნელობა აქვს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთანხმებულ ამ საზღვრის ხაზს. მხოლოდ მათ მიერ ხელმოწერილი ოქმების შემდგომ აქვს სახელმწიფოებს უფლება, რომ შეთანხმებულ ტერიტორიებზე ააშენონ სასაზღვრო სექტორები და განალაგონ სასაზღვრო პოლიციის ძალების წარმომადგენლნი.

ახლა მინდა თქვენი ყურადღება ექსპერტთა ჯგუფის სახელმწიფოებრივად საკვანძო საკითხს შევახო. ექსპერტთა ჯგუფი და უშუალოდ მისი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კარტოგრაფიული დოკუმენტის – რუკის უზუსტესად შესწავლა-დამუშავებაზე და დაოქმებული სასაზღვრო ხაზის და კოორდინატების უცთომელობაზე. კარტოგრაფია ძალზედ სპეციფიკური სამეცნიერო დისციპლინაა, ამის ცოდნა პოლიტიკოსებისთვის და ჩინოვნიკებისთვის შეუძლებელია და ამიტომ სახელმწიფო საზღვრის დადგენის პროცესში, კარტოგრაფიულად ზუსტად ამის დადგენა დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფს ევალება. დანარჩენი პროცესუალური ნორმების გავლისას პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები ექსპერტთა ჯგუფის მოწოდებულ მასალებს ეყრდნობიან და ამტკიცებენ.

სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესუალური სქემა ასეთია: **პირველი** – დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფის მიერ კარტოგრაფიული დოკუმენტის – რუკის შესწავლის და საველე სამუშაოებზე, მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად კოორდინატთა შეთანხმების და დადგენის შემდეგ კეთდება შესაბამისი კარტოგრაფიული ალბომი და დგება ოქმი, რომელსაც ხელს ორივე ქვეყნის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელები და წევრები აწერენ.

**მეორე** – ამ დაოქმებულ დოკუმენტს შემდგომში ხელს აწერს, დელიმიტაციის და დემარკაციის კომისიის თავმჯდომარე, რომელიც პროტოკოლით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

**მესამე** – როდესაც მეზობელ ქვეყანასთან, საზღვრის სრულ პერიმეტრზე მოხდება შეთანხმებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ და მას კომისიის ხელმძღვანელი დაამოწმებს, მთელი ეს ფრაგმენტული შეთანხმებები შეიკვრება ერთიან დოკუმენტაციად და გადაეცემა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც ამ ყოველივეს მთავრობის მეთაურს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს. თავის მხრივ პრემიერ-მინისტრი ამ დოკუმენტაციას უგზავნის პრეზიდენტს და პრეზიდენტი აწერს ხელს.

**მეოთხე** – პრეზიდენტი კონტრასიგნაციით უბრუნებს პრემიერს და პრემიერი აწერს ხელს.

**მეხუთე** – პრემიერ-მინისტრი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, ამ დოკუმენტს წარუდგენს პარლამენტს და პარლამენტის მიერ დადებითად კენჭისყრის შემდგომ, სახელმწიფო საზღვარი მეზობელ ქვეყანასთან დადგენილია.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოების სწორად და სიღრმისეულად ინფორმირებულობაა. სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის ეს პროცედურული ნორმები იმიტომ აღგიწერეთ, რომ მინდა მკაფიოდ დაგანახოთ თუ როგორი მთავარი საკვანძო როლი აქვს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საქმეში დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს და ამ ჯგუფის წევრებს. მთელი შემდგომი რგოლები, ამ სპეციფიური სამეცნიერო დისციპლინის მცოდნე სპეციალისტების დასკვნებს ეფუძნება, რომელსაც დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფი ჰქვია.

ახლა ყველაფერი ეს ერთიანად რომ გავაანალიზოთ, დავინახავთ თუ როგორ საკვანძო და პროცესის წარმართველი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ განხილულ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს და მის წევრებს.

ახლა გეკითხებით, ვისი როლია წარმმართველი სახელმწიფო საზღვრის დადგენაში – დელიმიტაციის კომისიის თავმჯდომარის, რომელიც დიპლომატია, თუ პერეზიდენტის? ან პრემიერ-მინისტრის, თუ პარლამენტის? რა თქმა უნდა, ყველა სახელისუფლებო რგოლის როლი მნიშვნელოვანია და საპასუხისმგებლო, მაგრამ პროცესი აქ დუღს, აქ ყალიბდება, რომელსაც სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისია და კონკრეტულად ექსპერტთა ჯგუფი ჰქვია.

აქედან გამომდინარე, კითხვის პირველ ნაწილზე პასუხი ნათელია. რომ არა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის და ამ ჯგუფის წევრების შეთანხმება, აზერბაიჯანის ექსპერტთა ჯგუფთან, 2006 წელს, აზერბაიჯანელები უდაბნოს მთის თხემზე და ჩიჩხიტურის მონასტერში ვერ დადგებოდნენ. ახლა რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ბატონი თედო ამბობს: **„შეთანხმება-ოქმი, რომელიც 2006 წელს, აზერბაიჯანულ მხარესთან დადო საქართველოს წარმომადგენელმა–დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფმა და რომლითაც აზერბაიჯანის სასაზღვრო საპოლიციო ძალებმა ჩიჩხიტურის მონასტერი დაიკავეს, არის ყველაზე დიდი შეცდომა და დანაშაული“**, – ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ბატონი თედოს შეფასებას ჩემეული მოსაზრებით შევასწორებ. შეუძლებელია, კარტოგრაფიაში, მე ბატონ თედოს, ბატონ ნოდარს, ბატონ თენგიზს, ქალბატონ დალი ნიკოლაიშვილს და სხვა სახელოვან კარტოგრაფებს რაიმე შევუსწორო და ჩვეული მოსაზრებები წამოვაყენო, მაგრამ ვინაიდან აქ საქმე მომხდარი ამბის შეფასებით ნაწილს ეხება, თავს უფლებას მივცემ, რომ შესწორება შევიტანო – ექსპერტთა ჯგუფის და დელიმიტაციის კომისიის ყოფილი წევრების – ივერი მელაშვილის და ნატალია ილიჩოვას მთავარი შეცდომა და დანაშაული ის კი არ არის, რომ მათ 2006 წელს შედგენილი და ხელმოწერილი ოქმის საშუალებით აზერბაიჯანის სასაზღვრო საპოლიციო ძალებს უდაბნოს მთის თხემზე ამოსვლის უფლება მისცეს და ჩიჩხიტურის მონასტერი რომ დააკავებინეს, არამედ ის, რომ მათ დელიმიტაციისას არ გამოიყენეს და სრულიად უკუაგდეს უმთავრესი კარტოგრაფიული დოკუმენტი, უპირველესი ლეგიტიმაციის მქონე – 1:200 000-ანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა. ამ დანაშაულებრივმა ქმედებამ გარდაუვალი დაკარგვის საფრთხის ქვეშ დააყენა საქართველოს ისტორიულად კუთვნილი 3.500 ჰა ტერიტორია და პლუს კიდევ 3000 ჰა. ტერიტორიასაც იგივე ბედი ელოდა.

აქედან გამომდინარე, მთავარი შეცდომა და დანაშაული ექსპერტთა ჯგუფისა და კერძოდ, მელაშვილი-ილიჩოვასი იყო 1937-38 წწ. გამოცემული 1:200 000-ანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის უარყოფა, რომლის გამოც საქართველო მისი კუთვნილი 6.500 ჰა. ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის ქვეშ დადგა და რომელშიც მოქცეული იყო ჩვენი ქვეყნის სულიერი და კულტურული საგანძური – ჩიჩხიტური და უდაბნო.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მესამე ნაწილს, რაში ვხედავთ ბრალდებულების დანაშაულს? სწორედ ამაში, რაც ზევით მოგახსენეთ, რომ მათ საზღვრის დელიმიტაციის პროცესიდან სრულიად უარყვეს და გადამალვის გზით უკუაგდეს ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის და კარტოგრაფიულად ყველაზე მნიშვნელოვანი 1:200 000 მასშტაბის რუკა. საქართველოში მოქმედი ყველა პროფესიონალი კარტოგრაფი, ამ დარგის წამყვანი მეცნიერები ბრძანებენ, რომ 1:200 000 მასშტაბის რუკა არის ყველაზე უპირატესი კარტოგრაფიული დოკუმენტი 1938 წლის სასაზღვრო მდგომარეობის დასადგენად, და ბოდიში, ამას ირონიით არ ვამბობ, ორი მიწათმომწყობი, ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის პროფესიული უნარების არმქონე პირი გვეუბნება, რომ ეს რუკა დაიწუნეს.

**მთავარი შეცდომა და დანაშაული ექსპერტთა ჯგუფისა და კერძოდ, მელაშვილი-ილიჩოვასი იყო 1937-38 წწ. გამოცემული 1:200 000-ანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის უარყოფა...**



# მიწაც კი არ უნდა მოაკლდეს მას!



**– მამა კირიონ, თქვენი აზრით, რა ინტერესი უნდა ჰქონოდათ ივერი მელაშვილს და ნატალია ილიჩოვას, როდესაც მათ სახელმწიფო საზღვრის დადგენის პროცესიდან 1:200 000 მასშტაბის, 1937-38 წწ. გამოცემული რუკა სრულიად უარყვეს და თქვენ მათ არსებობას გიმალავდნენ?**

– ანალოგიური ტიპის კითხვა პროკურატურაშიც დამისვეს, როდესაც ამ საქმეზე ძიების ფარგლებში დამიბარეს. პროკურორი ახალგაზრდა კაცი იყო და ამ საქმით გაკვირვებული თითქოს ჩემთან ეძებდა პასუხს. მაშინ მე მას მივუგე: **„რა გითხრათ, სავარაუდოდ, ან ფინანსური, ან პოლიტიკური, ბუნებაში თუ მესამეც არსებობს მითხარით-მეთქი“**. ამასვე გეტყვით თქვენც. თუმც, ჩემი შინაგანი განწყობა, რომ გითხრათ, ფინანსური ინტერესი არა მგონია.

ტყუილი და მზაკვრობაა, როდესაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით ამბობენ, რომ თითქოს ეს რუკა ცნობილი იყო კომისიის წევრებისთვის. სიცრუეა, რადგან, ვიდრე ჩვენ არ მოვიძიეთ ეს რუკა 2015 წელს, მანამდე ამ რუკას დღის სინათლეზე არ აჩენდნენ. ასევე ამბობენ, რომ თითქოს 1996-97 წლებში, დელიმიტაციის კომისიის საწყის პერიოდში, ივერი მელაშვილმა ამ რუკის უზუსტობა და გამოუსადეგარობა განიხილა კომისიის წევრებთან და ამის შემდეგ გაიწია ეს რუკა პროცესიდან. სიყალბეა! გვანახონ შესაბამისი განხილვის ოქმი.

დელიმიტაციის კომისიაში მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და გადაწყვეტა რეგლამენტით ყოველთვის ოქმის სახით დგება. როგორ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, რუკა, რომელიც საქართველოს სასარგებლოდ 6.500 ჰა. ტერიტორიას გვაკუთნებდა, დაიწუნეს და ამის ოქმი არ შედგა?! ტყუილია! ეს საქმე მოღალატეობრივად ყარს! რატომ იმაზე მაინც არ იღებთ ხმას, როდესაც ივერი მელაშვილმა და ექსპერტთა ჯგუფმა თუშეთში, დიკლოს მთა და მისი მიდამოები, 42 კვ.კმ გამიჯნულ და უდავო სივრცეში რუსეთს გადასცა!

ამას ჩემით არ გეუბნებით, ამას დელიმიტაციის კომისიის ყოფილი წევრი, კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის კათედრის პროფესორი, კარტოგრაფთა ასოციაციის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი, აწ გარდაცვლილი ბატონი ჯანსუღ კეკელია ამბობდა. აწ გარდაცვლილმა პროფესორმა ქვეყნისთვის დანაშაულებრივი ქმედებების გამო, დელიმიტაციის კომისია პროტესტის ნიშნად დატოვა.

რა ინტერესი ჰქონდათ მელაშვილს და ილიჩოვას ფინანსური, თუ პოლიტიკური, ეს გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს და დაადგინოს. მე და ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებამ ვიცით და ჩვენი მთელი გამოცდილება გვკარნახობს, რომ მელაშვილი და ილიჩოვა უმდაბლესი – დასანახი და შესახები დონეა ამ დანაშაულებრივ ქმედებაში, უკან, ჩრდილში ამ საქმის ნამდვილი ფიგურები დგანან. ამ დანაშაულის ტიპს შინაარსობრივად კარგად გამოხატავს ბერტოლტ ბრეხტის სიტყვები: **„ბანკის ძარცვა დილეტანტების საქმეა, ჭეშმარიტი პროფესიონალი ყაჩაღები ბანკს აარსებენ“.**

**– მამა კირიონ, თქვენი ჩვენებიდან და საჯარო განცხადებებიდან ირკვევა, რომ 1:200 000 მასშტაბის რუკის მნიშვნელობაზე ყოფილ პრემიერს და დღეს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, 2014 წელს უამბეთ. პროცესი დაიძრა, გავიდა 6 წელი და 2020 წლამდე მოვედით, რატომ? ეს ტოვებს ეჭვებს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში...**

– დიახ, გასაგებია თქვენი კითხვის აზრი, ოღონდ მცირე შესწორებებს შევიტან. მე, ასე ვთქვათ, პირადი აუდიენციით არ მივსულვარ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილთან და არც რუკა მქონდა, რომ მიმეტანა. ეს ისტორია სხვანაირად იყო. ჩვენებაშიც და ყველა განცხადებაშიც, სადაც ამ ისტორიას ვყვები, ნათქვამი მაქვს – პირველად, ჩემს მეგობართან, ბატონ ირაკლი ალასანიასთან მივედი. ის, იმ პერიოდში თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერი იყო. მის პატრიოტიზმში ეჭვი არ მეპარებოდა, მთავარი იყო, ჩემ მიერ მოძიებულ მცირე მასალებში არსებული ბუნდოვანება დაენახა.

მადლობა ღმერთს, ასეც მოხდა. მან მის უწყებაში არსებულ ტოპოგრაფიის სამმართველოს დაავალა მათი კომპეტენციის ფარგლებში შეესწავლათ საკითხი და გაეღრმავებინათ მოკვლევა. მაშინ გავიცანი ბატონი ნოდარ ხორბალაძე – ტოპოგრაფიული სამმართველოს უფროსი და ბატონი თედო გორგოძე. ჩვენ მაშინ დაახლოებით 9-თვიანი სამუშაო გავწიეთ. მოვიძიეთ და გავაანალიზეთ საკმაოდ დიდი მოცულობის კარტოგრაფიული და იურიდიული დოკუმენტაცია. ყველა გზა 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკასთან და კერძოდ ამ რუკის XXII ნომენკლატურასთან მიდიოდა.

ვერც ერთ არქივში, საუბარია შვიდ არქივზე, ვერ ვნახეთ საჯარო მასალა და ერთში, სადაც ვნახეთ, საზღვარი ამოჩხაპნილი იყო. ასევე შევხვდით ივერი მელაშვილს და ნატალია ილიჩოვას, რომლებმაც ამ რუკის ფლობა უარყვეს. ეს ფაქტი მაშინ ძალიან კი გაუკვირდათ ბ-ნ ნოდარს და ბ-ნ თედოს, მაგრამ, ვინაიდან ჯერ ჩვენ გარეჯთან მიმართებაში საზღვრის დანაშაულებრივი გამრუდების შესახებ ტოპოგრაფიულ მასალას არ ვფლობდით და ასევე დელიმიტაციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფის ოქმებს გაცნობილი არ ვიყავით, ძალზედ საეჭვო ფაქტები მტკიცებით ფორმაში ვერ გადაგვყავდა.

ამდენმა საეჭვო და ბუნდოვანმა გარემოებებმა ირაკლი ალასანია დაარწმუნა იმაში, რომ საჭირო იყო პრემიერ-მინისტრი საქმის კურსში ჩაგვეყენებინა. განსჯის და განხილვის დონეზე ეჭვები ფაქტებად ჩანდა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი გვაკლდა. ბატონი ირაკლი ალასანიასა და ბატონი ირაკლი ღარიბაშვილს შორის შედგა კომუნიკაცია და ჩაინიშა ამ საკითხის განხილვის დღეც. განხილვა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ფორმატში მოხდა. სხდომა ირაკლი ალასანიას მოხსენებით დაიწყო, მან პრემიერ-მინისტრს და შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს გააცნო გაწეული საქმიანობისა და კვლევის შესახებ, ხოლო ბატონებმა ნოდარ ხორბალაძემ და თედო გორგოძემ, სპეციალურ მონიტორზე, კარტოგრაფიული და იურიდიული მასალები გააცნეს.

**ბიძინა ივანიშვილის რეაქცია მკაცრად პრინციპული იყო – „რაც საქართველოს სამართლებრივად ეკუთვნის, ერთი მტკაველიც კი არ უნდა მოაკლდეს მას! იმოქმედეთ ძიების შესაბამისად, მე რაც შემეძლება, თქვენს გვერდზე მიგულეთ“.**



არ დამავიწყდება ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები: **„ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის თავს ხდება. ბატონებო, ჩემგან ყველაფერზე სრული მზაობაა, რა არის საჭირო“**. ამოვისუნთქე, მივხვდი, რომ ეს ქვეყნისთვის გამარჯვების სიტყვები იყო. ირაკლი ალასანიამ აუწყა, რომ საჭირო იყო მეტი სახელმწიფოებრივი რესურსების ჩართვა, რათა ამ საკითხის კვლევას უეჭველ მტკიცებულებამდე მივეყვანეთ და დასძინა, რომ მოსაძიებელი იყო 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა, რომელიც საეჭვოდ არც ერთ არქივში არ იძებნებოდა, გარდა ერთისა და იქაც გარეჯის და საზღვრის ხაზი განზრახ დაზიანებული იყო.

პრემიერ-მინისტრმა ამ საკითხში ძირეული გამოძიება ბატონ მინდია ჯანელიძეს და უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სამსახურს დაავალა და ხაზგასმით უთხრა, რომ მისთვის ყველა ეტაპზე ინფორმაცია მიეწოდებინათ. 2015 წელს მინდია ჯანელიძემ და მისმა სამსახურმა 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული მასშტაბის XXII ნომენკლატურა მოიძია.

მართალია, ეს ნომენკლატურა არ იყო დედანთან დამადასტურებელი ბეჭდებით აღჭურვილი, რომელსაც აზერბაიჯანის მხარესთან დელიმიტაციის კომისიების სხდომაზე, როგორც მყარ იურიდიულ დოკუმენტს წარვადგენდით, მაგრამ იყო უნიკალური რუკა, რომელიც მდ. მტკვრისა და ხრამის შესართავიდან თითქმის მდ. მტკვრისა და იორის შესართავამდე ყველაფერს დეტალურად გვანახებდა, მათ შორის ჩიჩხიტურისა და უდაბნოს მონაკვეთსაც. ყველანაირი ეჭვები გაიფანტა, სურათი უცხადესი იყო.

რომ არა 1937-38 წლებში დაბეჭდილი 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა, რომელიც უალტერნატივო ლეგიტიმაციის დოკუმენტი იყო დელიმიტაციის პროცესში, ქვეყანა 6.500 ჰა ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის წინაშე იყო. ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა ძალზედ მაღალი დონის განკარგულება გასცა. ამის თქმისგან თავს შევიკავებ. საქმე უმაღლესი კვლევის ობიექტი გახდა. ამ პროცესის დაწყებიდან ოთხ თვეში 2015 წლის დეკემბერში ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრობიდან წავიდა. შემდეგ იყო გიორგი კვირიკაშვილი.

**– რა ხდება კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდში?**

– მისი პრემიერ-მინისტრობის დროს ყველაფერი გაჩერდა. მოვახერხე მასთან შეხვედრები, მაგრამ არაფერი პოზიტიური შედეგი. ამ საქმეში ეს იყო სრული უძრაობის პერიოდი, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით, ეს ვითომდაც უძრაობა ნეგატიური მოვლენა იყო დროის დინამიურ მსვლელობაში. ასე გაგრძელდა 2018 წლის ზაფხულამდე. არავის პიროვნულ ღირსებას არ ვეხები, მე ვალდებული ვარ, რაც დავინახე და განვიცადე, ის ვთქვა.

შემდგომი პრემიერ-მინისტრი ბატონი მამუკა ბახტაძე იყო. 2019 წელს მასთანაც შევძელი რამდენჯერმე, მგონი სამჯერ შეხვედრა. მან სახელმწიფო მოხელისთვის, მთავრობის მეთაურისთვის სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავა. მოქმედებდა სახელმწიფოებრივი პოზიციიდან, რომლის შედეგიც იყო დელიმიტაციის ახალი კომისიის შექმნა. მოხდა კომისიის განახლება და კომისიიდან დათხოვნილი იქნენ ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა. ამ საქმემ სიცოცხლე დაიბრუნა. ბატონმა მამუკა ბახტაძემ ცალსახად დადებითი ქმედებები განახორციელა ამ საქმეში. იყო კიდევ მცირე დეტალები მისგან პრინციპული და პატიოსანი ქმედებისა, რომელზედაც ამ ეტაპზე უმჯობესია, დავდუმდე.

მოვედით გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრობასთან, მაგრამ მისი როლი ამ საქმეში, როგორც ცენტრალური 2019 წლის მაისიდან იწყება, როდესაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უდაბნოს მონასტერში მისვლის უფლება აგვიკრძალეს. 4-5-დღიანი აკრძალვის შემდეგ მონასტერი გაიხსნა, მაგრამ სამ თვეში და დღევანდელ დღემდე მონასტერი უდაბნო დაიკეტა. იყო შეხვედრაც, იყო ცხარე კამათი, იმედის მომცემი დაპირებები... მოკლედ, იცით ჩემი დამოკიდებულება და არ მინდა ამაზე მუდმივი პედალირება. მოქმედი პრემიერია და ვუსურვებ ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმატებას. ჯვარი მწერია, არანაირი კერძო ინტერესები არ მაქვს, ხალხს მათი საქმეებით ვაფასებ!

2019 წლის, მგონი გაზაფხულზე, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი პარტია „ქართულ ოცნებაში“ ბრუნდება. ვნახულობ და დახმარებას ვთხოვ. ამის მერე მალევე თავდაცვის მინისტრად ინიშნება. მე საუბრისას ავუხსენი შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ვკითხე ჩემთვის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: მისი პრემიერობის პერიოდში ჰქონდა თუ არა მას ნასაუბრები საზღვრისა და გარეჯის საკითხის შესახებ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. ირაკლი მითხრა, რომ არა.

მე ვერ ვიგებდი ამ ერთი პარტიის მმართველობის დროს არსებულ დიქომეტრიას – საკითხისადმი ცვალებადობას და ამიტომ ვთხოვე, რომ მას საზღვრის და გარეჯის საკითხი, ობიექტური გამოძიების მიერ დადგენილი ფაქტები ბატონი ბიძინასთვის, როგორც პარტიის დამფუძნებლისა და თავმჯდომარისთვის მოეხსენებინა. ვიცოდი, რომ მძიმე საქმეს ვთხოვდი, მას საკმაოდ რთული პარტიულად კონიუნქტურულ ზღვარზე უნდა გაევლო.

ასევე ავუხსენი, რომ ეკლესია ასე დაუსრულებლად, ბუნდოვან მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. ფაქტია, მადლობა ღმერთს, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა კარგად გაართვა თავი მის რთულ მისიას და ბატონ ბიძინასთან საკითხი ადამიანურად და სახელმწიფოებრივად სწორად მიიტანა.

**– როგორი იყო ივანიშვილის რეაქცია?**

– ბიძინა ივანიშვილის რეაქცია მკაცრად პრინციპული იყო – **„რაც საქართველოს სამართლებრივად ეკუთვნის, ერთი მტკაველიც კი არ უნდა მოაკლდეს მას! იმოქმედეთ ძიების შესაბამისად, მე რაც შემეძლება, თქვენს გვერდზე მიგულეთ“**. შვებით ამოვისუნთქე, როდესაც ეს პასუხი გავიგე. მადლობა ბატონ ბიძინას ასეთი პოზიციისთვის.

2019 წლის ბოლოს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკების დროს საჭიროა დედანთან დამოწმებული ბეჭდის მქონე 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა. 2015 წელს ირაკლი ღარიბაშვილის მოთხოვნით, ბატონმა მინდია ჯანელიძემ მრავალ მცდელობას მიმართა და მოიძია ამ რუკის XXII ნომენკლატურა, მაგრამ მას დედანთან დამოწმებულობის ბეჭედი არ ჰქონდა.

როგორც მე ვიცი, ამ გამოუვალ მდგომარეობაში ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი მიდის ბატონ ბიძინა ივანიშვილთან და შექმნილ ჩიხურ მდგომარეობაზე უყვება. ბატონ ბიძინას ახსოვს თავისი პირობა და ის დახმარებისთვის უკავშირდება დავით ხიდაშელს, უხსნის შექმნილ ვითარებას და ქვეყნისთვის საშურ საქმეში დახმარებას თხოვს. მინდა მადლობა მოვახსენო ბატონ დავით ხიდაშელს, რომელმაც საქართველოს ფასდაუდებელი საქმე გაუკეთა. მან მოიკვლია აღნიშნული რუკა და რისკების მიუხედავად აღნიშნული ტოპოგრაფიული მასალა, დამტკიცებული ყველა იურიდიული ნორმით, ქვეყანას გადმოგვცა. ეს მოხდა ორ ეტაპად. პირველი – 2020 წლის აპრილის ბოლოს და მეორე – მგონი ივნისის ბოლოსკენ ჩამოვიდა. როგორც იქნა, მოვედი თქვენი დასმული კითხვის ბოლო ნაწილზე – გავიდა 6 წელი და ეს ყველაფერი ეჭვს იწვევს, რატომ 2020 წელს ეს ყველაფერი? ღმერთისა და ერის წინაშე გეუბნებით, აი, ეს არის საქმის ისტორიის ხაზი.

ამის მერე იწყება ამ იურიდიულად დამტკიცებულ რუკებზე, განახლებული კვლევა, რომ ტერიტორიული ძიების მასალებს, ეს ახლადმოპოვებული რუკები დადებოდა საფუძვლად. აზერბაიჯანის მხარესთან წარსადგენად და გადასაცემად დოკუმენტაცია, იურიდიული კუთხით, აბსოლუტურად გამართული უნდა ყოფილიყო. საბოლოო კვლევის შემდეგ, რომელიც ამ იურიდიულად დამტკიცებულ ტოპოგრაფიულ დოკუმენტზე დაყრდნობით მოხდა, გადაწყდა საქმე პროკურატურას გადასცემოდა. ეს უკვე მე არ მეხება, ამის მერე ყველამ ყველაფერი თანაბრად ვიცით.

**– მამა კირიონ, თქვენ დეტალურად ისაუბრეთ დავითგარეჯის საქმეზე, მაგრამ საინტერესოა თქვენი ზოგადი შეფასება ამ საქმის მიმართ, როგორც რეზიუმე. ფაქტია, რომ ეს არის უმძიმესი საქმე, რომელსაც თან ახლავს ემოციები და ახლა მნიშვნელოვანია, რამდენად ჩააბარებს გამოცდას პროკურატურა, სახელმწიფო...**

– ეს საქმე ემოციურადაც მძიმეა და სახელმწიფოებრივადაც. ემოციურად იმიტომ, რომ საქმე ეხება ჩვენი სამშობლოს ბედს და ასევე ადამიანებს, რომლებიც დაპატიმრებული არიან. სახელმწიფოებრივად მძიმე კი იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გავართვათ თავი ორ ამოცანას. **პირველი** – ქვეყანა დავიცვათ სამართლებრივად კუთვნილი ტერიტორიების დაკარგვისაგან და **მეორე** – ეს გავაკეთოთ არა უმართებულო პატრიოტული ემოციებით, არამედ სახელმწიფოებრივი აკადემიურობით, გონიერებით, პრინციპულობით და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს მეზობლებთან მეზობლებად დავრჩეთ. დამეთანხმებით, მთელი ეს საქმე, მძიმე და რთული მოცემულობაა.

დაბოლოს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის კომპლექსის ორი უწმინდესი მონასტრის ჩიჩხიტურის და უდაბნოს საკითხის არსი ასეთია: ძიების თანახმად, კარტოგრაფიული და იურიდიული დოკუმნეტაციით მტკიცდება, რომ არსებულ გეოგრაფიულ სივრცეში, ვიდრე ეს დღემდე იყო, დამატებით 6.500 ჰა. ტერიტორია საქართველოს ეკუთვნის. სახელმწიფოს აქვს ამის დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია!

ამასვე გვიმტკიცებს მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ავტორიტეტული საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელსაც ასეთ საკითხებში დიდი გამოცდილება აქვს და საკვირველია იმ ადამიანების საქციელი, რომელნიც საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობენ. ასეთ გაუგებარ პოზიციას, რომელიც ცდილობს, გააქარვოს ეს სიმართლე, არათუ სხვა ერის წარმომადგენელნი, არამედ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელებიც კი, ალბათ გაკვირვებულები უყურებენ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**



# კენეტ იალოვიცი: კომპრომისი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია

**„ქვეყანამ უნდა შეძლოს და წავიდეს წინ“,** — ასე დაიწყო საუბარი „ამერიკის ხმასთან“ ამერიკელმა დიპლომატმა კენეტ იალოვიცმა, რომელიც წლების განმავლობაში, ელჩის სტატუსით, საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენდა. იალოვიცს მიაჩნია, რომ როგორც ხელისუფლებამ, ასევე ოპოზიციამ, პოზიციები უნდა შეაჯერონ და ქვეყნის განვითარებაზე იმუშაონ. **„სამწუხაროდ, არჩევნებს, რომელიც ქვეყანაში ჩატარდა თან ახლდა მნიშვნელოვანი სირთულეები, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს და არჩევნების დამთავრების შემდეგ. იმედი მაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელჩების შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებები, წარმატებით დასრულდება და ორივე მხარე, როგორც „ქართული ოცნება“, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, წავლენ კომპრომისზე.**

**იმედი მაქვს საბოლოო შედეგი ის იქნება, რომ ყველა პარტია შევა პარლამენტში და გაგრძელდება ქვეყნის განვითარებაზე მუშაობა. კომპრომისი საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია. ქვეყანამ უნდა შეძლოს და წავიდეს წინ და მაქსიმალურად მოხდეს პოზიციების შეჯერება, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ყარაბაღის ომმა რეგიონში ვითარება სრულად შეცვალა. პირველად მოხდა, რომ რუსეთმა ყარაბაღში ჯარი განათავსა, რაც მოცემულობას ცვლის. სომხეთი დამარცხდა და აზერბაიჯანი გამარჯვებულია. რეგიონში ძალიან იზრდება ავტორიტარული დიქტატურა, რაც შემაშფოთებელია. ყარაბაღმა რეგიონის უსაფრთხოებას დიდი პრობლემები შეუქმნა და ამ მხრივ ვითარება უფრო და უფრო რთულდება.**

**მახსოვს, საქართველოში მუდმივად ხდებოდა დიალოგით პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლა. ამას ჩემი ელჩობის პერიოდშიც ჰქონდა ადგილი, ახლაც ასე უნდა მოხდეს. ამ პროცესს ალტერნატივა არ აქვს. ელჩი დეგნანი და ევროკავშირის ელჩი ამ პროცესის კარგად წარმართვისთვის ყველაფერს აკეთებენ. ახლა მხარეებმა უნდა გადადგან ნაბიჯები და შეაჯერონ პოზიციები“.**

გამოცდილმა დიპლომატმა და ვაშინგტონში საქართველოს დიდი ხნის მხარდამჭერმა, ქართველებს ახალი წელი მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ 2021 წელს შეძლებს საქართველოში მოგზაურობას.

**„ჩემს უამრავ ქართველ მეგობარს ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. მე ძალიან მიყვარს ის დრო, რომელიც საქართველოში გავატარე. ძალიან მიყვარს საქართველო და მენატრებიან ქართველები. იმედი მაქვს, კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ქაოსი მალე დასრულდება და შევძლებ მომავალ წელს საქართველოში ჩავიდე. მინდა ვუსურვო საქართველოს მოსახლეობას მშვიდობა და ჯანმრთელობა. ახლა ქვეყნის წინაშე ბევრი გამოწვევაა, რეგიონში არსებული ვითარება, კოვიდ-19, ეკონომიკური პრობლემები და პოლიტიკური კრიზისი. პანდემიით რომ დავიწყოთ, საქართველომ პირველ ეტაპზე მოახერხა და თავი კარგად გაართვა პანდემიას. ბოლო პერიოდში ვითარება მკვეთრად გაუარესდა და იმედი მაქვს, რომ ეს მდგომარეობა მალე გამოსწორდება. ვისურვებდი, რომ საქართველოში დროულად დაიწყოს ვაქცინაციის პროცესი და პანდემიის კონტროლი მოხდეს. მეორე, რაც მინდა ვთქვა, არის ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იდგა და დგას საქართველოს გვერდით და ეს მხარდაჭერა გრძელდება“,** — ამბობს კენეტ იალოვიცი „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს.

**საბა გუჯაბიძე**

# კურტ ვოლკერი: უცხოელი ინვესტორები საქართველოში შევლენ, თუ იგრძნობენ, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობაა

**ამერიკის განვითარების საფინანსო კორპორაცია საქართველოში რეგიონული ჰაბის შექმნას გეგმავს — ამბობს კურტ ვოლკერი „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს.** ნატოში ამერიკის ყოფილი ელჩი ფიქრობს, რომ თუ პროექტი განხორციელდა, ეს საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი იქნება.



**„ამერიკის განვითარების საფინანსო კორპორაციას აქვს სურვილი თბილისში შექმნას რეგიონული ჰაბი. პროექტი მთელს რეგიონს მოიცავს, მაგრამ ცენტრი თბილისი იქნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი წამოწყებაა და იმედი მაქვს, ეს გამოვა.**

**ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს, რომელიც საქართველოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში ეხმარება. ჩემი სურვილია, საქართველომ მიიზიდოს უფრო მეტი ინვესტიცია სხვადასხვა სფეროში. ზოგიერთ პროექტზე მე ვმუშაობ, ვიცნობ სხვებსაც, ვინც ამ მხრივ მუშაობენ.**

**უცხოური ინვესტორები საქართველოში შევლენ, თუ ისინი იგრძნობენ, რომ ქვეყანაში კანონის უზენაესობაა და ეკონომიკური სისტემა მაღალი ნდობით სარგებლობს. საქართველოს და ყველას ინტერესშია, რომ ქვეყანამ მეტი შემოსავალი მიიღოს და დასაქმება გაიზარდოს“,** — ამბობს ვოლკერი.

კურტ ვოლკერი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება და როგორც ოპოზიცია, ასევე ხელისუფლება კომპრომისზე წავა.

**„საქართველო პატარა და მშვენიერი ქვეყანაა დიდებული ხალხით. ვფიქრობ, რომ ხალხი უნდა გაერთიანდეს და ერთად ააშენოს საკუთარი ქვეყანა. მათ ასე უნდა წარუდგინონ თავი დანარჩენ მსოფლიოს. ასე რომ, ვუსურვებ საქართველოს შერიგებას და გაერთიანებას. როგორც მთავრობა, ასევე ოპოზიცია უნდა წავიდეს კომპრომისზე, ქვეყანაში უნდა არსებობდეს გაცემისა და მიღების შეგრძნება. კომპრომისზე წასვლა ორივე მხარემ უნდა შეძლოს, რადგან ეს ქვეყნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს“,** — ამბობს ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში კურტ ვოლკერი.

**„მოხარული ვარ, რომ მაქვს ამის შესაძლებლობა, მივულოცო ქართველ ხალხს. გილოცავთ ახალ წელს ყველას საქართველოში. პირველი, რაც მინდა ყველას ვუსურვო, ჯანმრთელობაა. 2020 საქართველოსთვის ძალიან რთული წელი იყო. პანდემიის ადრეულ ეტაპზე ქვეყანამ ვითარებას კარგად გაართვა თავი, თუმცა ბოლო თვეებში ვითარება საშინელია. უამრავი ადამიანი გარდაიცვალა და დაავადდა. სწორედ ამიტომ, მინდა, რომ პირველ რიგში ყველას ჯანმრთელობა ვუსურვო“,** — ამბობს ვოლკერი.

**გიორგი საბაური**



# „შეაჩერე ქურდობა! დაიცავი ჩვენი არჩევნები!“

აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი 6 იანვარს, ვაშინგტონში, მასშტაბურ საპროტესტო აქციას აანონსებს.

**„6 იანვარს, 11 საათზე ვაშინგტონში დიდი საპროტესტო აქცია გაიმართება. ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით დეტალები მოგვიანებით დაზუსტდება. შეაჩერე ქურდობა! დაიცავი ჩვენი არჩევნები!“** — წერს დონალდ ტრამპი.

ამ დღეს კონგრესის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები დამტკიცდება. პროცედურის მიხედვით, კონგრესის წევრები უფლებამოსილნი არიან ამა თუ იმ შტატში არჩევნების შედეგების დამტკიცება წერილობითი ფორმით გააპროტესტონ. ამ შემთხვევაში, სხდომა შეწყდება და კონგრესის ორივე პალატა საკითხს ცალკე განიხილავს და კენჭს უყრის. თუ აშშ-ის კონგრესის ერთი პალატა მაინც არ დაეთანხმება არჩევნების შედეგების გაპროტესტებას, პროტესტი უარყოფილი იქნება.

# ირანი ურანს ეთამაშება!

**ირანი ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრებას გეგმავს,** — ამის შესახებ BBC გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე დაყრდნობით წერს.

ოფიციალური თეირანი აცხადებს, რომ ურანის გამდიდრება „ფორდოუს საწვავის გამდიდრების ქარხანაში“ მოხდება, თუმცა, ამის ზუსტი დრო, ჯერჯერობით, უცნობია.

2015 წელს გაფორმებული, აშშ-ის, ირანის, საფრანგეთის, ჩინეთის, რუსეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, ურანის გამდიდრების ზედა ზღვარი 3.67%-ია. ირანმა 2019 წელს აღნიშნული შეთანხმება დაარღვია და ურანი 4.5%-მდე გაამდიდრა. ბირთვული შეთანხმებიდან აშშ-ის გასვლისა და ირანზე სანქციების დაწესების შემდეგ, თეირანი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ეტაპობრივად ამცირებს. ამასთან, სხვადასხვა სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ შესაძლებელია, ირანმა კიდევ 3 კასკადი ააშენოს, რაც ურანის გამდიდრების ახალი წყარო იქნება. ბირთვული ბომბის დასამზადებლად ურანის 90-პროცენტიანი გამდიდრებაა საჭირო.

# ავიაკატასტროფებმა იმატა

**გასული ერთი წლის განმავლობაში, მსოფლიოში ავიაკატასტროფებისას დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა.**

2020 წელს, საავიაციო სფეროში 40 ინციდენტი აღირიცხა, რომელთაგან ხუთი ფატალური აღმოჩნდა და შემთხვევებს, ჯამში, 299 ადამიანი ემსხვერპლა.

2019 წელს 86 ინციდენტი აღწერეს, მათგან რვა დასრულდა ფატალურად და ჯამში, 257 ადამიანის დაღუპვა გამოიწვია.

# ორდღიანი წვეულება კატალონიაში

**კატალონიაში პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა უკანონო წვეულების მონაწილეები. ბარსელონასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ დასახლებაში გამართული საახალწლო წვეულება ორი დღე გრძელდებოდა და მას 200-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა.**

უკანონო წვეულების მონაწილეთა ნაწილმა ადგილზე მისულ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. დაკავებულია წვეულების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ადამიანი. მათ ჯარიმის სახით 3000-დან 60 000 ევრომდე გადახდა მოუწევთ.

# ქალს სიკვდილით დასჯიან!..

**აშშ-ის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მცდარად მიიჩნია ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, რომელმაც ქალის სიკვდილის დასჯის გადაწყვეტილება ბათილად ცნო.**

მსჯავრდებული ლიზა მონტგომერი დამნაშავედ ცნეს ორსული ქალის სასტიკ მკვლელობაში. შემთხვევა 2004 წელს მოხდა. მანამდე ცნობილი იყო, რომ განაჩენის აღსრულება 2020 წლის 8 დეკემბერს ინდიანას შტატში (სასიკვდილო ინექციის შეყვანით) უნდა მომხდარიყო.

განაჩენის აღსრულება გადაიდო, რადგან მსჯავრდებულის ადვოკატი კორონავირუსით დაინფიცირდა. ადვოკატი განაჩენის შემსუბუქების მიზნით, თხოვნას ამზადებს. განაჩენის აღსრულების დღედ 12 იანვარი დადგინდა. მაგრამ ტელეარხის ინფორმაციით, გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო, შესაძლოა ქალი სიკვდილით, უფრო ადრე დასაჯონ.





# გვისხივე ნათელი!

**დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო! სიკეთე, ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელობა და ბარაქა მოგვინაგროს გამჩენმა უფლისმიერ სიყვარულთან თანამზეურად!**

იმისათვის, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ სამამულე და საერო საქმეს უნდა მოვეკიდოთ გულისყურით, ჩვენივე საკმარი „რამე-რუმეები“ ჩვენივე შრომითა და ოფლით მოვიპოვოთ, მიწას უცილობელი ფუნქცია აღვუდგინოთ და პურ-ღვინის ქვეყანა რომ ვართ, კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ.

მოყვარეს მოყვრულად დავხვდეთ, მტერს კიდევ – მტრულად. ზეციერზე დიდ მოაზროვნე-მეცნიერებად ნუ დავისახავთ საკუთარ თავს და გვახსოვდეს: „აღხდების, რაიც წერილ არს...“

ჩვენი გზა, როგორც ერთმა უდიდესმა ქართველმა ბრძანა, „ქრისტეს გზაა...“ ამ გზაზე კი ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან ის მარადიული ბრძოლისა და ტანჯვა-წამების საწიერია.

მხარ-თეძოზე წამოწოლილი, ჩვენი ზღაპარ-გმირის, ნაცარქექიას წარმოდგენაა კარგი, თორემ „ნამდვილ“ ქართველს დროის წასაგებად სადა სცალიან. თუ ყველაფერზე არ ავმაღლდით და საქმეში უწინარესობა ვერ შევიძელით, ცუდად მაშინ წაგვივა საქმე და ნანატრი სამამულო წადილიც გაგვიწყალდება!..

ღმერთო მაღალო, შენ მოუმზევე ყოველ ქართველს და სრულიად საქართველოს ცას მიმწვდომი სიხარული და ბედნიერება...

**მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ...**
**„სადავოი კირიალესა“ – ცისა და მიწის სადღეგრძელოვ,**
**ღმრთისა და კაცის მღერად გასაგონარო,**
**აკვნის სიმრავლევ და ჯან-ძალისად მოარულო,**
**სიყვარულის მემზევევ და სიძულვილის დამმარცხებელო,**
**ამომშანთავო ბოროტებისავ, სიკეთის მეკვლევ,**
**ანგელოზთა ბაგეთაგან გადმოდენილო ანკარა წყაროვ,**
**ჩვენო მეკუჩხურო და მეკეთილევ, ამინად შეგეწიოს –**
**ხმაი უფლისა, ჩვენზე ბედნიერების მოსურვილეს...**
**შენაც გვყავდე იმედად და გვესალტე რწმენად**
**მარადიული, დაუსრულებელი ბედნიერებისა...**
**ამინ, ამინ და ამინ...**
გვითბილე, უფალო ჩვენო, გვისხივე ნათელი შენი!..



**ლაშა გვასალია**

# „მე ცოტნესნაირი ბავშვი არ მინახავს!..

**„მე ცოტნესნაირი ბავშვი არც მინახავს და არც მეგულება, ყველაფერს გავაკეთებ და მისთვის ყოველთვის მისაწვდომი ვიქნები თუ რამეში შემიძლია დავეხმარო“,** – განაცხადა დანიელ ბარენბოიმმა, როდესაც 11 წლის ცოტნე ზედგენიძე პირველად მოისმინა.



პანდემიის გამო შეზღუდვების მიუხედავად, შესაძლებელი გახდა ცოტნეს გამგზავრება ბერლინში და იქ კონცერტის ჩატარება.

კონცერტზე ცოტნემ შეასრულა თავისი ნაწარმოებები: „დიპტიხი“, საკუთარი დედისადმი მიძღვნილი „ზარები“, „ზმანებანი“, სამი საფორტეპიანო ეტიუდი და თავისი დის ნინიკოსადმი მიძღვნილი ციკლი...

ასევე დანიელ ბარენბოიმის თხოვნით დაუკრა ბრამსის მესამე, ფა-მინორული სონატის პირველი ნაწილი.

**ლიზი მამრაძე (ცოტნეს დეიდა):** „მთელი კონცერტის განმავლობაში ვაკვირდებოდი დარბაზს, სახეებს, რეაქციებს და ვხედავდი დიდ აღფრთოვანებას, გაოცებისგან ხელებს შლიდნენ და თითქოს ახსნასაც ვერ პოულობდნენ, რაც ხდებოდა. კონცერტის დასრულებისას დანიელ ბარენბოიმი წამოდგა ფეხზე და ტაშს დიდხანს უკრავდა, თან იმეორებდა – „ფენომენალური“, „უნიკალური“, „საოცარი“! კონცერტის შემდეგ ცოტნეს მასტერ კლასებიც ჰქონდა დირიჟორ დანიელ ბარენბოიმთან და კომპოზიტორ იორგ ვიდმანთან. საოცარი იყო მათი ურთიერთობა – თითქოს თანასწორ, თანატოლ მუსიკოსებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა...

**ნინო მამრაძე (ილიაუნის პროფესორი, ცოტნეს პედაგოგი და აღმზრდელი ბებო):** ცოტნე ცნობილი ლოტბარის და მომღერლის ნიკო სულხანიშვილის შთამომავალია, მას არასდროს უვლია მუსიკალურ სკოლაში. სწავლობს ჩემთან 5 წლის ასაკიდან. 6 წლის იყო, როცა კომპოზიციების შექმნა დაიწყო. აშკარაა, რომ მას დიდი მომავალი აქვს.

**რევაზ თოფურია.**

**ფოტოზე: იორგ ვიდმანი, ცოტნე ზედგენიძე , დანიელ ბარენბოიმი**

# სიკეთის მოლოდინი

## ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად!

**რუსთველი**

**კარგი რამ არა გვითხრა რა,**
**თავი წაგვჭამა ვირთხამა**
**და წელმა განუკითხავმა.**
**რა შებრალება, რა ხათრი?**
**ცელით გვცელავდა სახადი,**
**ვიდრე ახალ წელს ვნახავდით!**
**გვეღირსა წელი ხარის და**
**გულები გაგვიხალისა**
**მოიმედობამ ხვალისა!**
**და დღეს საოცრად მომინდა,**
**რომ არა კინკლაობითა,**
**ძმა ისევ ვიცნოთ ძმობითა!**
**დე ხარმა ჯიღით იხაროს,**
**რომ ხეო, მიმჭკნარ-მიმხმარო,**
**ნედლად იქცე და იხარო!**



**ალექსანდრე შენგელია**
2021 წლის 1 იანვარი

# ხუმრობას კაცი არ მოუკლავს...

***ოთხბწკარიანი ლექსები მხატვრებზე, სხვა შემოქმედებზე და ცხოვრებაზე***



* * *

წესადა აქვთ თურმე მხატვრებს,
მათ შორის ელ გრეკოსაო,
სხვას შენ ისე უნდა რეკო,
რომ იმან ვერ გრეკოსაო.

* * *

იყო ბერნარდ შოუ,
არ უყვარდა შოუ,
თქვა ეს შოუები
ხომ არ ჩავახშოუუუუ.

**პოეტის რჩევა საყვარელ მწერალს**

თუკი ძალიან შაგცივდა
ანტონ პავლოვიჩ ჩეხოვო,
ეგ პენსნე უნდა მაიხსნა
და შეშა უნდა ჩეხოვო.

* * *

წარვიდა ალენ დელონი,
გარდაიარა მდელონი,
ჰქმნა ბევრნი კოცნაობანი
დიადნი სასახელონი

* * *

ვერავინ მიხვდა, შენს გულში
სად ვისი იყო უბანი,
სად იყო ჟერარ ფილიპი,
სად კიდევ ფან-ფან-ტულპანი.

* * *

ლექსი დაწერილია გაგრაზეგული პოეტის მიერ, რადგან ჩაიკოვსკიმ თავის ოპერაში გამოიყენა ქართული იავნანა და მას არაგული ცეკვა დაარქვა.

ჩანგლებისას ვერას გეტყვით,
მაგრამ გეტყვით ჩაის კოვზს კი
თურმე ხშირად იპარავდა
პიოტრ ილიჩ ჩაიკოვსკი.

* * *

დედის ნაქონ კაბებს იცვამს
და სარკის წინ კოპწიაობს,
ხანა ვარდობს, ხან ენძელაობს,
ხან ზამბახობს, ხან იაობს...

* * *

გაიგებდით, თუ რა უთხრა
რაფაელმა ლეონარდოს!
რომ არა ღირს გენიოსმა
სულელს თავი გაუყადროს.

* * *

კეთილი ანგელოზები
ჩასჩურჩულებდნენ ნიკოსა;
რა უნდა იყოს ტილოზე
რა კიდევ, რომ არ იყოსა.

მეგობრებო, ალბათ, მიხვდით რომ ნიკოში ვიგულისხმე ნიკო ფიროსმანაშვილი.

* * *

ძმაო, თუკი მულენ რუჟში
გპატიჟობდა რენუარი,
კარგი მართლაც ვერ გიქნია
თუ უთხარი შენ უარი.

* * *

ციმციმ-ციცინათელებო,
ღიმილებო ღამისაო,
ყველა უნდა შეგხაროდეთ,
მეც მთქმელი ვარ ამისაო.

* * *

ეგონა, მივსდევ გულსაო,
და ლამაზ ნაკადულსაო,
თურმე სხვის გეგმას მისდევდა
ცუდსა და ჩახლართულსაო.

* * *

მანქანას თივა მიჰქონდა,
ქორი ართმევდა თივასა,
მე და შენ ცაში გავცქეროდით
ვარსკვლავსა ათას სხივასა.

* * *

აუჰ, რა ლამაზებია
და როგორ შესაბრალები,
მაღლა ბაგირზე ღიმილით
მოსიარულე ქალები.

* * *

რად გვინდა ნეტავ ველები,
ეს ბაღები და ეს სკვერი?
თუ აღარ გაგვიღიმებენ
ჩვენი დიდთვალა ფრესკები?

* * *

მიდი, იხტუნე, რამდენიც გინდა,
მაგრამ გჭირდება ქცევა სათუთი,
ისე არ ახტე რომ საზღვრებს ასცდე,
საფრთხილო საქმე არის ბატუტი.

* * *

ძნელია, იყო მარტორქა,
რქას ატარებდე ცხვირზედა
და ქვეყნად ყველას ეგონა
არც თუ ჭკვიანი ვირზედა.

* * *

მე ხომ ზღარბი ვარ, მაშ ზღარბისაგან
რატომღა გიკვირთ ქცევა ზღარბული?
მე მირჩევნია ეს ძველი ბაღი,
არ მსურს სასახლე დიდი ზღაპრული.



**გურამ პეტრიაშვილი**
2020

◉ კადრები

# ბრძოლა გრძელდება



როგორც იქნა, წერტილი დაესვა ერთწლიან გაჭიანურებულ მარათონს – რამდენჯერმე გადადებულმა და თბილისის „ლოკომოტივის“ ბაზაზე გამართულმა ყრილობამ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტად „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე აირჩია, რომელმაც 43 ხმოსანი დელეგატიდან 31-ის ნდობა დაიმსახურა.

**„მადლობას ვუხდი როგორც მხარდამჭერებს, ისე: მოწინააღმდეგეთა ბანაკის მომხრეებს. მზად ვარ ყველასთან სათანამშრომლოდ, რადგან ჩვენი სახეობის განვითარებისთვის ერთიანობა აუცილებელია“,** – განაცხადა პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა.

რაც შეეხება აწ უკვე სრკ-ის ექს-თავკაც გოჩა სვანიძეს, მას ამჯერად მხოლოდ 10 თანამოაზრე აღმოაჩნდა, ხოლო მესამე კანდიდატმა – ბაჩო ხურციძემ ფორუმს ბოიკოტი გამოუცხადა, ვინაიდან მიაჩნია, რომ უნდა ჩატარებულიყო არა გადადებული, არამედ ახალი ყრილობა, რომელიც სრკ-ის გამგეობას უნდა დაენიშნა. ამიტომ იგი დაფიქსირებულ შედეგს არალეგიტიმურად თვლის და მის გასაჩივრებას აპირებს.

**კობა კობახიძე**

◉ ციფრების ენით

# სეზონი ხვიჩასია



**2020-ს თამამად შეგვიძლია ხვიჩა კვარაცხელიას წელიწადი ვუწოდოთ. მართალია, სეზონის ბოლოს 19 წლის ვუნდერკინდს კორონავირუსი შეხვდა, რის გამოც ეროვნული ნაკრების ისტორიულ შეხვედრას დააკლდა, მაგრამ მანამდე იმდენი მოახერხა, რომ შეუცვლელი ფიგურა გახდა როგორც ყაზანის „რუბინში“, ისე „ჯვაროსანთათვის“.**

ყოველივეს გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურად, ჩვენი უნიჭიერესი თანამემამულე ღირსეულად დააფასეს როგორც სამშობლოში, სადაც გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ისე რუსეთში, რომლის პრემიერლიგის უძლიერეს დრიბლიორადაც მიიჩნიეს და პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს.

ბუნებრივია, არაორდინარული შემტევის ასეთი პროგრესი მის სატრანსფერო ფასზეც სათანადოდ აისახა და გერმანული სამენეჯერო ინტერნეტ-სააგენტო „ტრანსფერმარკტის“ მონაცემებით, ქართველთა შორის მოწინავეა.

გთავაზობთ წამყვან ათეულს მილიონი ევროს მიხედვით:

**ხვიჩა კვარაცხელია** („რუბინი“) – 10,00;
**გიორგი ჩაკვეტაძე** („გენტი“) – 6,00;
**საბა კვირკველია** („როტორი“) – 3,00;
**დავით ხოჭოლავა** („შახტარი“) – 3,00;
**ვაკო გვილია** („ლეგია“) – 2,50;
**ზურაბ დავითაშვილი** („როტორი“) – 2,50;
**ოთარ კიტეიშვილი** („შტურმი“) – 2,00;
**ლევან შენგელია** („ქონიასფორი“) – 1,80;
**გიორგი ქვილითაია** („ანორთოსისი“) – 1,80.

რაც შეეხება ეროვნული ლიგის ჯამურ ღირებულებას, იმავე ინტერნეტ-სააგენტოს განახლებული მონაცემებით, მან შესამჩნევად – 4,5 მილიონი ევროთი იკლო და სადღეისოდ 36,18 მილიონის ტოლია.

გაეცანით ლიდერ კლუბთა ათეულს:

**„დინამო“** – 5,80;
**„ლოკომოტივი“** – 4,43;
**„დილა“** – 4,43;
**„საბურთალო“** – 4,18;
**„ბათუმი“** – 3,95;
**„ტორპედო“** – 3,50;
**„თელავი“** – 3,15;
**„სამტრედია“** – 2,95,
**„ჩიხურა“** – 2,10;
**„მერანი“** – 1,70.

**გიორგი შოთაძე**

◉ ჭადრაკი

# საპატიო მესამე



**პრესტიჟული ტურნირის 71 მონაწილესთან ბრძოლაში დაკავებული საპატიო მესამე ადგილით დახურა შარშანდელი საჭადრაკო სეზონი ქართველმა დიდოსტატმა ლევან ფანცულაიამ.**

საუბარია წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთის „ბრძენთა თამაშის“ ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ონლაინ – ასპარეზობა „ვაშინგტონის ზამთრის“ ოსტატთა კატეგორიაზე 10000-დოლარიანი საპრიზო ფონდით, რომლის ბედიც კოეფიციენტთა ცხრილმა გადაწყვიტა.

საბოლოოდ ჩვენი თანამემამულე მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა იგორ კოვალენკოს (ლატვია) და ჰაიკ მარტიროსიანს (სომხეთი), რომლებმაც ასევე 9 შესაძლებლობიდან 7-7 ქულას მოუყარეს თავი. რაც შეეხება ბაადურ ჯობავას, მას 5 ქულით 25-ე პოზიცია ერგო, არადა, ფანცულაიას მსგავსად, ჩინებული სტარტი ჰქონდა – 3-დან სამი გამარჯვება.

**ბეჟან დოლიძე**

◉ კალათბურთი

# ღირსეული ფინიში



**2020 წლის ფინიშზე შესაშური კონდიციები აკრიფა ცსკა-მ, სადაც ღირსეულად გამოიყურება თორნიკე შენგელია.**

ჯერ იყო და არმიელებმა ყაზანში გამართული „ვითიბი ლიგის“ პრინციპული ბრძოლა მოუგეს „უნიქსს“ – 83:76, ხოლო შემდეგ დამატებით დროში კიდევ უფრო მძიმე გამარჯვება მოიპოვეს იტალიაში „მილანთან“ – 91:87, რომელიც ევროლიგაში ზედიზედ მე – 12(!) გახლდათ და ლიდერობას ნიშნავს.

29 წლის ქართველმა მძიმე ფორვარდმა განსაკუთრებით თათრეთში იყოჩაღა, სადაც 31 წუთში ორმაგი დუბლი მიითვალა – 18 ქულა, 12 მოხსნა და, რაც მთავარია, პარტნიორებს შორის საუკეთესო მაჩვენებლით – ეფექტურობის კოეფიციენტ 20-ით კვირის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა.

რაც შეეხება აპენინებზე მიღწეულ წარმატებას, იქ „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა 8 ქულა და 7 მოხსნა იკმარა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჭიდაობა

# ტოკიოს ანარეკლი

**ტრადიციისამებრ, ყველაზე უხვ მოსავალს ოლიმპიურ ტოკიოში ფალავანთაგან ველით, ამიტომ დედაქალაქის ახალ სპორტის სასახლეში გამართულმა მოჭიდავეთა ეროვნულმა ჩემპიონატმა დამატებითი დატვირთვა შეიძინა.**



მართალია, „თავისუფალთა“ ტურნირში არ გამოსულა ოლიმპიური, მსოფლიოსა და სამგზის ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, მაგრამ ყველა წონაში ტონს მაინც ძველი გვარდიის ლიდერები იძლეოდნენ, რაშიც რამდენიმე ჩემპიონის გვარიც დაგვარწმუნებთ: **ნიკა კენჭაძე (ამბროლაური), სანდრო ამინაშვილი (თბილისი), ირაკლი მწითური (თბილისი), ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი), ბექა ბუჯიაშვილი (გორი), დავით ტლაშაძე (გორი) და გენო პეტრიაშვილი (გორი).**

ისიც სათქმელია, რომ პრიზიორთა შორის არაერთი რეგიონის წარმომადგენლებს ვხვდებით, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ონელების – მირიან მაისურაძისა და ზვიად მეტრეველის „ვერცხლი“. რაც შეეხება „კლასიკოსთა“ ასპარეზობას, აქ უკვე თვალსაჩინო გახლდათ დასავლეთ საქართველოს გუნდების, განსაკუთრებით – აჭარისა და გურიის უპირატესობა. მოხდა გამოსარჩევი ფაქტიც – საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხულოელი ძმები – ლერი და ოთარ აბულაძეები ავიდნენ.

**ბადრი იაშვილი**

◉ ხელბურთი

# გერმანულ ტალღაზე



**გასული სეზონის დასკვნით სახელბურთო აკორდს – ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალს კიოლნმა უმასპინძლა, სადაც უმთავრეს ფავორიტად ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის 9-გზის (!) ტრიუმფატორი და უკანასკნელ პერიოდში დაუმარცხებელი „ბარსელონა“ მიიჩნეოდა, მაგრამ...**

ნახევარფინალში კატალონიურმა გრანდმა მართლაც შთამბეჭდავი თამაში აჩვენა ტრავმირებული ნიკოლა კარაბატიჩის გარეშე ობლად დარჩენილ „პარი სენ-ჟერმენთან“ – 37:32. თითქოს საიუბილეო – მეათე წარმატებას ბევრი აღარაფერი უკლდა, თუმცა, ყველას დაავიწყდა მრისხანე „კილის“ ფაქტორი, რომელიც შინ მეოთხე ტიტულისთვის იბრძოდა, თანაც, თავმოყვარეობაშელახული, რადგან ბუკმეკერებმა საკმაოდ დამამცირებელი ფსონი – 6 „კუში“ დაუწერეს.

წინა საღამოს შარშანდელ ფინალისტ – უნგრულ „ვესპრემთან“ ზღაპრულად, დამატებით დროში მოგებულმა შეხვედრამ გერმანულ კლუბზე დოპინგივით იმოქმედა და სკანდინავიელ ლიდერ საგოსენის 7 გოლით სენსაციაც გამოაცხო – 31:26!

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ ქრისტეს ასაკში

# მარიას შესანიშნავი შვიდეული

**მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და დიდი სლემის ტურნირების ხუთგზის ჩემპიონი მარია შარაპოვა კორტიდან შარშან წავიდა, ხოლო ახლახან 33 წლის რუსმა ლამაზმანმა, ბოლოსდაბოლოს, ოჯახის შექმნა გადაწყვიტა.**



მისი რჩეული ბრიტანელი ბიზნესმენი ალექსანდრ გილკსი გახლავთ, რომელიც ქრისტეს ასაკში მყოფი მომავალი პატარძლის ხმაურიანი რომანების პერსონაჟთა შესანიშნავ შვიდეულს შეკრავს. როდემდე?

აღსანიშნავია, რომ ყოფილ ბოიფრენდთაგან ზუსტად ნახევარი ჩრდილოელი პრინცესას კოლეგები იყვნენ – ხუან კარლოს ფერერო, ენდი როდიკი და გრიგორ დიმიტროვი, საშა ვუიაჩიჩი კი ასევე სპორტსმენია, ოღონდ – კალათბურთელი.

რაც შეეხება ბევრი მამრისთვის სრულყოფილე:ბის განსახიერების უკანასკნელ და, როგორც ირკვევა, საკმაოდ სერიოზულ გატაცებას, საქმიანი წრეების ალბიონელი წარმომადგენელი პრინცების – უილიამისა და ჰარის მეგობარია, თანაც კარგად ფლობს საკუთარი ელიტური გულისსწორის მშობლიურ ენას.

**როსტომ რაჭველიშვილი**

სულთათანა

## ციალა გვიმრაძე-გრძელიშვილი



უმძიმეს ტკივილისა და მწუხარების წელიწადის გაუსაძლისი დღეები მიილია... დიახ, წელიწადი გაფრინდა, რაც საყვარელ ოჯახს, ძვირფას მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ახლობლებს განეშორა უერთგულესი დედა, ძვირფასი ბებია, სანათესაოს მოამაგე ქალბატონი ციალა გვიმრაძე-გრძელიშვილი.

თვითონაც დიდი ოჯახის შვილი, კარგ ტრადიციებზე აღზრდილი, ასევე სიყვარულით, სისათუთით, ერთგულებით იყო გამორჩეული. თავისი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, მან დიდი რუდუნებით აღზარდა ორი ღირსეული ვაჟკაცი, ასევე შვილიშვილთა და შვილთაშვილის სიმრავლით ხარობდა და ამაყობდა, ყურადღებას არ აკლებდა ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს, ამიტომაც იყო დიდი ხალხმრავლობა მასთან გამოთხოვების დღეს.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ქალბატონი ციალას ამქვეყნიური განშორება მაინც მოულოდნელი იყო. ვერც წარმოვიდგენდით, ეს სიცოცხლით, ღიმილით და სიკეთით სავსე ქალბატონი თუ ასე სწრაფად გამოგვეცლებოდა ხელიდან...

კიდევ ერთხელ გემშვიდობებით, ჩვენო დაუვიწყარო, განუმეორებელო და კდემამოსილო, სათნოებით აღვსილო დედავ, მეუღლევ, ბებო და დიდი ოჯახის ოქროსხელება დიასახლისო!..

მარად დარჩები ჩვენს ხსოვნაში!

**ვალერიან გრძელიშვილი ოჯახით**



მეუღლე ასლან სულაძე, შვილი გიორგი სულაძე, და ლეილა მუმლაძე, დისწული ხათუნა ინწკირველი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 27 დეკემბერს გარდაიცვალა

**დალი მუმლაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ვაჟა ფშაველას ქ. №48
599 79-76-79;
568 82-09-84

## გარდაიცვალა ტარიელ ფუტკარაძე



ქუთაისში კორონავირუსს მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე ემსხვერპლა.

ტარიელ ფუტკარაძე მკურნალობას საავადმყოფოში გადიოდა, თუმცა მედიკოსებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

„საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი მწუხარებით აუწყებს სრულიად საქართველოს — მარცხით დასრულდა ერთთვიანი ულმობელი ბრძოლა.

კოვიდინფექციამ 60 წლის ასაკში იმსხვერპლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე“, — წერს სოციალურ ქსელში საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი სერგო ვარდოსანიძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს ღირსეული მამულიშვილის

**ტარიელ ფუტკარაძის**

გარდაცვალების გამო.

# რა შემთხვევაში არ გაუშვებენ საქართველოს მოქალაქეს 2021 წლის 1 იანვრიდან შენგენის ზონაში?!

**2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, შენგენის რეგულაციით გათვალისწინებული დოკუმენტაცია დამატებით საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტზეც შემოწმდება. კერძოდ, საზღვრის დაცვის პოლიციას უფლება აქვს, მოქალაქე არ გაუშვას შენგენის ზონაში.**

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება, უარი ეთქვას საქართველოს საზღვრის გადაკვეთაზე, თუ მას ეკრძალება ევროკავშირის/შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში შესვლა, ან სრულად ვერ წარადგენს კანონით გათვალისწინებულ საბუთებს.

ᲐᲚᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲐ:

- **ბიომეტრიული პასპორტი;**
- **უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი ან მოქმედი ჯავშანი;**
- **საცხოვრებლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგალითად, სასტუმროს მოქმედი ჯავშანი ან მასპინძლის თანხმობა განთავსებაზე;**
- **სამოგზაურო დაზღვევა;**
- **მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის საბუთი;**
- **კონფერენციებში, სემინარებში, საქმიან შეხვედრებში მონაწილეობის მიზნით მგზავრობის შემთხვევაში, ზემოჩამოთვლილ საბუთებთან ერთად რეკომენდებულია მგზავრმა თან იქონიოს ღონისძიების/კონფერენციის/სემინარის მოწვევა/პროგრამა;**
- **სამედიცინო სერვისებით სარგებლობის, მოკლევადიანი სამკურნალო კურსის/ოპერაციის მიზნით მგზავრობის შემთხვევაში, ზემოჩამოთვლილ საბუთებთან ერთად სასურველია მგზავრმა თან იქონიოს: ა) იმ სამედიცინო დაწესებულების თანხმობა, რომელშიც დაგეგმილია მკურნალობა ან/და საქართველოს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაცია, შესაბამისი მკურნალობის ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყანაში ჩატარების შესახებ; ბ) მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება ნაღდი ფულით, მგზავრის მოქმედი ელექტრონული ბარათით ან გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტით;**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, საჭიროებისამებრ, ფასდება მგზავრის წარსულში ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყანაში მოგზაურობის ისტორია, მხედველობაში მიიღება შს მინისტრის 2020 წლის 21 დეკემბრის №176 ბრძანებით განსაზღვრული გარემოებები:




- **პირის ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყანაში მგზავრობის/მოგზაურობის ისტორია;**
- **მგზავრობის მიზანი, მათ შორის, როგორიცაა, მივლინება, გადაუდებელი სამედიცინო საჭიროება;**
- **ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს პირის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ხელშემწყობ გარემოებაზე;**

და რისკფაქტორები:

- **პირის მიერ ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყანაში კანონიერად ყოფნის ვადის დარღვევის ფაქტ(ებ)ი;**
- **პირისათვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის შესახებ წინათ მიღებული გადაწყვეტილება და უარის თქმის საფუძველი (მიზეზი);**
- **ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში შესვლაზე უარი;**
- **პირის მიერ შეცვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემებით (სახელი/გვარი) ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის რომელიმე ქვეყანაში მოგზაურობის ისტორია;**
- **ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს პირის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის დამაბრკოლებელ გარემოებაზე.**

„ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ, ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ) ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲡᲐᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲔᲑᲨᲘ, ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ, ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔᲪ“, — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**წესი ვრცელდება ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყანაში გამგზავრების მსურველ საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელიც სარგებლობს უვიზო მიმოსვლის რეჟიმით და ევროკავშირის წევრ/შენგენის ზონის ქვეყანაში მიემგზავრება როგორც პირდაპირ, ისე მე-3 ქვეყანაში ტრანზიტით გავლის გზით.**

### როგორ ხდება საქართველოს მოქალაქისთვის სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე უარის თქმა?

ᲗᲣ შესაბამისი შემოწმების შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოება, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურე იღებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას.

დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში მიეთითება საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის კონკრეტული საფუძველი. გადაწყვეტილების 1 ეგზემპლარი გადაეცემა პირს, რომელსაც უარი ეთქვა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, ხოლო 1 ეგზემპლარი რჩება დეპარტამენტში.

დეპარტამენტის მოსამსახურე ახორციელებს პირისათვის საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ჩაბარებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის განმარტების პროცესის ვიდეოგადაღებას ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით.

### როგორია გასაჩივრების პროცედურა?

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ საქართველოდან გასვლის მსურველ პირს შეუძლია გაასაჩივროს აქტის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. საჩივარს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს 30 დღის ვადაში, რომელიც საჩივრის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 30 დღისა.

**ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: საქართველოს მოქალაქეებს 2017 წლის 28 მარტიდან უვიზოდ შენგენის/ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოგზაურობის უფლება აქვთ. მათ უვიზოდ მოგზაურობა 180 დღის განმავლობაში ჯამში 90 დღე შეუძლიათ.**

**„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“**

# 15 იანვრის ჩათვლით უქმე დღეები გამოცხადდა!

**3 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით საქართველოში უქმეები გამოცხადდა. საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის ეს პერიოდი დასვენების დღეებად გამოცხადდება, ხოლო კერძო სექტორისთვის 3-დან 15 იანვრამდე უქმეების გამოცხადება ნებაყოფლობითია.**



ამასთან, სავაჭრო მოლებმა და სხვა ობიექტებმა მუშაობა უკვე შეაჩერეს. კოვიდსტატისტიკაში სტაბილიზაციის ტენდენციის მიუხედავად, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, იანვრის მეორე ნახევარში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

სპეციალისტები ამის მიზეზად ახალი წლის დღეებში მობილობის გაზრდას ასახელებენ. გუშინ 19 საათიდან დაიკეტა სავაჭრო ცენტრები და ეს შეზღუდვა იანვრის ბოლომდე გაგრძელდება. გაიხსნება თუ არა სავაჭრო ცენტრები და სხვა ობიექტები თებერვლიდან, დამოკიდებული იქნება ქვეყანაში არსებულ ეპიდვითარებაზე.

# იანვრიდან პენსია მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება

**2021 წლის იანვრიდან პენსია 70 წლამდე პენსიონერებისთვის 20 ლარით, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკისთვის 25 ლარით გაიზარდა. „ფასების ზრდა აღარ გამოიწვევს პენსიის მსყიდველუნარიანობის შემცირებას, რადგან ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება“,** — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში. 2020 წელს პენსიები გაიზარდა 20 ლარით, ხოლო 70 წელს გადაცილებული პენსიონერებისთვის — 50 ლარით. 2020 წელს ამოქმედდა პენსიის ინდექსაციის მექანიზმი — ეს არის პენსიების ყოველწლიური ზრდის წესი და მკაფიოდ განსაზღვრავს პენსიის ყოველწლიურ მატებას.



# ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ახალი წელი აღნიშნეს

**საქართველოს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ვლადიმერ ნათენაძემ, ბატალიონის კაპელანმა მამა იოანე გელაშვილმა და მმართველმა რგოლმა პირად შემადგენლობას ახალი წლის დადგომა მიულოცეს.**

ბატალიონის მეთაურმა სამხედრო მოსამსახურეებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

**„ჯარისკაცებს, რომლებიც თავიანთი ოჯახებიდან შორს არიან, ახალ წელს ვულოცავ და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნებას ვუსურვებ“,** — განაცხადა ვლადიმერ ნათენაძემ.


# ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


# საუკუნეს მიტანებული პიანისტი

**სამხრეთ კორეელი 96 წლის პიანისტს იმედი აქვს, რომ საზოგადოების წინაშე ისევ დაუკრავს. ჯეგალ სემი 82 წელია, პიანინოზე უკრავს და მუსიკალურ წრეებში ასაკის მიუხედავად კვლავ უძლიერეს პიანისტად მიიჩნევენ.**



პენსიონერი პიანისტი ინსტრუმენტთან ყოველდღე ვარჯიშობს და აცხადებს, რომ ფორმის შენარჩუნება სურს. მისი თქმით, როცა შემთხვევა ექნება საზოგადოების წინაშე კიდევ დაუკრავს. 96 წლის პიანისტმა ინსტრუმენტზე დაკვრა 14 წლისამ დაიწყო. ის მუსიკის პედაგოგიც იყო, ამ კუთხით, მისი კარიერა 50 წელს მოიცავს. ის პიანისტის კარიერამ კორეის ომსაც გადაარჩინა.

ჯეგალ სემს იმედი აქვს, რომ ყველაზე ასაკოვანი პიანისტი გახდება, რომელიც საკუთარ კომპოზიციას შეასრულებს.

# წესებს მტრედებიც იცავენ



**ლივერპულში კანონმორჩილი მტრედი „ზებრა“ გადასასვლელზე გადავიდა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში ვიდეო გავრცელდა.**

მტრედი ზებრა გადასასვლელთან მივიდა და როცა დარწმუნდა, რომ საფრთხე არ ემუქრეობოდა გზაზე გადავიდა. კანონმორჩილ მტრედს ვიდეო მძღოლმა გადაუღო.

# საახალწლო საჩუქარიც ამას ჰქვია

**დიდი ბრიტანეთის მცხოვრებისთვის ახალი წელი ჯეკპოტის მოგებით დაიწყო. ბრიტანული მედია წერს, რომ 40 მილიონ ევროიანი ბილეთის მფლობელის გარდა, სხვებსაც გაუმართლათ, რადგა დანარჩენმა ათმა 1 მილიონი ევრო მოიგო.**

2019 წელს, დიდ ბრიტანეთში, ბილეთების მფლობელმა 170 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, რაც ლატარეის ისტორიაში ბრიტანეთში ყველაზე დიდი მოგებაა.

# საოცარი რობოტების ცეკვა



**კომპანიამ Boston Dynamics საახალწლო ვიდეო გამოუშვა, რომელშიც სხვადასხვა სახეობის 4 რობოტი ჯგუფ The Contours-ის 1962 წლის ჰიტის Do You Love Me თანხლებით ცეკვავენ.**

ცეკვას ორი რობოტი Atlas-ი იწყებენ, შემდეგ მათ რობოტი-ძაღლი Spot-ი უერთდებათ, ფინალში კი რობოტი ბორბლებზე Handle.

# პოლიციელის საჩუქარი – ქურდებს



**აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატის პოლიციელმა მეთ ლიმამ ქურდობაში შემჩნეულ ორ ქალს და მათ ბავშვებს 250-დოლარიანი სასურსათო ვაუჩერი აჩუქა.**

შობამდე ხუთი დღით ადრე მომხდარი ქურდობის ადგილზე გამოძახებულმა ლიმამ ნახა, რომ ნაქურდალს შორის მხოლოდ საკვები იყო და დაკავების ნაცვლად ოჯახის დასაჩუქრება გადაწყვიტა.

**„შემთხვევა ერთი შეხედვისთანავე გასაგები იყო... მათ ეს საკვები ოჯახისთვის, საშობაო სუფრის მოსაწყობად უნდოდათ. ნაქურდალს შორის არ იყო არც ჯანმრთელობის და თავის მოვლის ნივთები, მხოლოდ საჭმელი. ვიგრძენი მათი მდგომარეობა და დახმარების სურვილი გამიჩნდა“,** — თქვა პოლიციელმა მედიასთან.

# დრონების შოუ

**შოტლანდიაში, ედინბურგში, 2020 წელი მასშტაბური დრონების შოუთი გააცილეს. ვიდეო სოციალურ ქსელ ფეისბუქზე Edinburgh's Hogmanay-ს გვერდზე გამოქვეყნდა.**



შოუ 29 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა. ჰაერში ერთდროულად 150 დრონი გადაადგილდებოდა.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48

ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქობულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“

ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)

ს–323

2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 7 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 3.2766; ევრო - 4.0233;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4811;
100 რუბლი - 4.3912; თურქული ლირა - 0.4399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9288;
1000 სომხური დრამი - 6.2751.

**ამინდი 4 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე | +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -12, | დღე | +7 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე | +15 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +6 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru

და sakresp@top.ge

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge